

№ 11-12
1934 წ.



სამხრეთ-კავკასიის ხალხთა ოლიმპიკა ტფილისში



ორკვირეული მახიური სამხატვრო პოლიტიკური ჟურნალი

დროშა

ეროვნული რედაქტორის ნახვა შეიძლება 12-2 საათამდე. მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა

№ 11—12 თბილისი, ივნისი

გაზ. „კომუნისტის“ გამ-ბა 1934

თ თ

შენიშვნა


- ალ. არსენიშვილი—აღმავალი შემოქმედება.
- ს. ჩიქოვანი—თქმულება ამირანზე (ლექსი).
- ლ. ასათიანი—ახალი მუხრანი.
- ზ. დადიანი—ბაყი (სცენა ახალი პიესიდან).
- მ. პატარიძე—გაზაფხული (ლექსი).
- ა. ბილიაშვილი—გამხმარი ნაყოფი.
- ტ. მიქელაძე—ორი არწივი (დასასრული).
- დ—ტო—ჩვენი სცენის ოსტატი.
- ა. სულავა—ქუთათელის „პირისპირის“ შესახებ.
- მ. დუდუჩავა—მ. ჯანაშვილი.

თ თ



ჩეხოსლავიის სახალხო არტისტი სანდრო ახმეტელი
რუსთაველის თეატრის 10 წლის თავის გამო

პ.-მგ. რედაქტორი: მ. მაჭავარიანი
ხარედაქციო კოლეგია: კონსტ. ლორთქიფანიძე, გრ. მუშიშვილი,
აკ. ჯაფარიძე, ლევ. ასათიანი, ალ. სულავა



გამოფენა „საქართველოს მხატვრები 13 წლის თავზე“.
სურათზე: სახალხო მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის ნამუშევრები გამოფენაზე.

აღმავალი შემთხვევა

საქართველოს საგვრთა სახვითი ხელოვნების 13 წლის გამოფენა

|| ალი არსენიშვილის წერილი ||

გამოფენას ამშვენებს **ლენინის** მართლაც ლენინურად ბრძნული ლოზუნგი: „მემკვიდრეობის დაცვა სრულიად არ ნიშნავს მემკვიდრეობით შემოფარგვლას“. და თითქმის ასასრულებლად და განსამტკიცებლად გამოფენაზე წარმოდგენილია ჩვენი მხატვრული მემკვიდრეობის ისეთი ნიმუშები, როგორიცაა **გ. გაბაშვილის** აკადემიური ნამუშევარი, **მრევლიშვილის** უკვე კლასიკური, ნაროდნიკულ-რეალისტური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები („დაბალი ლობი“, „ღალა“, „კანცელარიასთან“) და სხვ.

მაგრამ უახლოეს მემკვიდრეობის წყობიდან რატომღაც არ არის და უსათუოდ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი **ფიროსმანი**, რომლის შემოქმედების კიდევ ერთხელ დათვალიერებას და შესწავლას უდიდესი შემეცნებითი მნიშვნელობა ექნებოდა,

საბჭოთა ფერწერის ხელოვნების ძალა მდგომარეობს ისეთ პლასტიურ ოსტატობაში, რომელიც სცილდება და არღვევს სადაზგო ფერწერის სტატიურობას და უმეტეს დინამიურობას აძლევს მას. მაგრამ ამავე დროს დინამიურობის მიღწევა უნდა ხდებოდეს ისევ ფერწერის ხელოვნების სპეციფიურ საშუალებებით და არა სხვა ხელოვნებათა, და კერძოდ, ლიტერატურის.

დაბალი რეალიზმის, ზოგჯერ ნატურალისტურ-ილუსტრაციულ ფერწერის ნიმუშებს იძლევა, მაგ., **კოტკოვი**. მისი „დასვენება კოლმეურნეობაში“ რუხი, უსიცოცხლო ფერებითაა მოცემული. ფარავანში გაჩვეული, ტუსალების მსგავსი, მოცეკვავე „ტეტიანა“ ჯგუფი ერთგვარ კაზიოხურ ემოციას იწვევს მაყურებელში, რომელსაც არ სჯერა, რომ ეს კოლმეურნეობა და რომ ისინი მზიარულენ. მეორე ტილოზე „სტა-

ლინი გაფიცულ მუშათა შორის“ მხატვარი ვერ სძლევს განზრახვას— დაპირისპირებულ ძალთა შეტევაზე გადასვლის წინა მომენტის მოცემისას და ნაკლის ანაზღაურებას ფიქრობს განყენებულ, გაუპიროვნებულ მასის მხოლოდ ბუნდოვანი აღნიშვნით. წინა პლანზე ორი-სამი მონტაჟის წესით მონაზული მუშა განყენებულ ქარხნის მიწები და საყვირები, შავბნელი ნაცრიანი კილორიტი, შავი ღრუბლები, როგორც რეაქციის სიმვლიკა. იგივე გაუპიროვნების ბეჭედი აზის კრების მონაწილეთა მასის ტილოზე „სტალინი 1905 წ. დისპუტზე“. სურათის ღირსება ამაშია, რომ საკმაოდ ექსპრესიითაა მოცემული ბელაქის ფიგურის მთელი მოძრაობა: ენერგიული ჟესტი ლენინის წიგნით „რა ვაკეთოთ?“ ხელში.

უნდა ითქვას, რომ თემატიკის აღნიშნულ ხაზით, მაგრამ ერთგვა-

ჩი საჯარო განხრით შესანიშნავია მისე თიხის „სტალინი წყალტუბელ გლეხებთან“. მხატვრის მიღწევა იმაშია, რომ მას მოხდენილად და სიმართლით დაუჭერია ბელადის ის სისადავე მასებთან ურთიერთობაში და უღრმესი ცოდნა სინამდვილისა, რომელიც მხატვრისათვის სახაზიერლო ემოციონალური ძლიერებით სჩქევს ამ. სტალინის დამკვეთ კოლმეურნეთა ყრილობაზე გამოსვლაში და მშრომელებთან მრავალ სხვა შეხვედრაში. ამ პატარა ტილოზე მხატვარმა დიდი და მხატვრული მეტყველებით საცხე შინაარსი გადმოგვცა მით, რომ მოცემული მდგომარეობის მთავარ და წამყვან რგოლს, მის გასაღებს მიაგნო. მხატვრის ეს გამარჯვება მით უფრო აშკარად და მკაფიოდ სჩანს სხვა მის ნამუშევართა გვერდით, რომელთა შორის ფსევდო-ისტორიული, თეატრალიზებული ფეოდალიზმის (ნ. ლორთქიფანიძის „მრისხანე ბატონის“ თემა (და გალამაზებულ ნატურალიზმის ფერადები („სამოვ-

რის მელოდია“) შეუდარებელ არიან რეალისტურ ოსტატობის მოცემულ ნიმუშთან. საინტერესოდ და საცხედაა წარმოდგენილი ლადო გუდიაშვილი, რომელსაც „ორტოდოქსალურ“ გუდიაშვილურ მისტიკის დასაძლევად ბევრი ღონისძიება გამოუღია, მაგრამ ოსტატის მსოფლმხედველობის ახალი ძვრების შესატყვისი რეალიზაცია მაინც მისი პრაქტიკის ცენტრალურ ამოცანად რჩება. სურათი „ბოროტი ოჯახი“, სადაც მოცემულია მემკვიდრეობითი ატავისტური იდეა თანდაყოლილ ბოროტმოქმედების ბიოლოგიურ ძირებისა, ბოროტმოქმედების ბუნების და განმარტების მრავალფეროვნება კონცეპციას ეყრდნობა, სურათი „სომეხ-თათართა ქლეტა“ და(არჩილებულია მთავარ იდეის სწორი ინტერპრეტაციისაგან, რომელიც უნდა მისცემოდა პროვოკაციულ სისხლის ღვრას, რევოლუციის აღმავლობის ნაციონალურ შუღლის კალაპოტში გადასაყვანად


რომ მემართავდა ცარიზმი, მთავარი აქცენტი მხატვარს მიქცეული აქვს მოცემულ ფიგურების მისთვის ჩიკოლ ანატომიურ დეფორმაციასა და სიმბახისავე, რასაც მხატვრისათვის ათამანვის ბარბეს მხატვნი ჭრილობების საწინააღმდეგო მანინჯის ესთეტიკა, როგორც გუდიაშვილის წინა შემოქმედების დაუძლეველი ნაშთი, იცოდა მთავარ ადგილს სურათში და სოცია - პოლიტიკურ სიმბახინჯეს სკვლის ბიოლოგიურ-ანატომიურ სიმბახინჯით, მხატვარი აქ იმავე უიმედო და უპირსაქეტივო თვალსაზრისზე დგას მოცემულ სიტუაციის მიმართ, როგორიც ჰქონდა, „განწირულ ჩინეთში“. განმანთავისუფლებელი რევოლუციური ძალა მხატვარს მუდველობითად გამოშვებული ჰყავს და მხოლოდ სისხლის შეძლების პაციფისტურ ეფექტის იმედი აქვს.

„ფიროსმანის პორტრეტში“ გუდიაშვილი ყველაზე უფრო „ორტოდოქსალურია“ (ძველი გუდიაშვილის გაგებით). მხატვარი შეგნებულად ღარყოფს აქ რეალისტური პორტრეტის მოცემის გზას.

მაგრამ ფიროსმანის პორტრეტით გუდიაშვილი იმავე დროს თითქმის შევიდობება თავისი მხატვრული პრაქტიკის მეტაფიზიკურ-იდეალისტურ გზას, რომელიც ერთხელ კიდევ თავს იჩენს მხატვრის თავისებურად დასრულებულ და არტისტულ გრაფიკაში.

„ძველი და ახალის“ ტილოთი, საქმე გვაქვს გადაიარაღების გზაზე დამდგარ ოსტატისათვის დამახასიათებელ ფუნჯით დაწერილ სახვით დიკლარაციასთან. მართლაც, მხატვარი (საკმაოდ მარტივად) უპირისპირებს წითელი მანდილით თავწაგრულ, მაგრამ თაღებში ჩაცმულ, ასკეტურ შეხედულების ქალს და წითელყელსახვევიან პიონერს ეროვნულ ტანისამოსში საზეიმოდ გამოწყობილ თავადის ოჯახს. პიონერს ხელთ უჭირავს წიგნი, თავადის ვაჟს —ქანწი. უკანა პლანზე (საცხებით ჩანქრალა და ბნელ ყოლორიტში მოჩანს „ტაჩიანი“ კინტო, რომელიც თითქმის გარეშეა წინა პლანზე მოცემულ დაპირისპირებისათვის. პიონერს და მის დედას გარს ახლავს ასკეტური იერი, ხოლო თავადებს —საჩათლე და ბრწყინვალეობა. გამოდი. ასე: სოციალიზმი ასკეტიზმით და ცოდნით უპირისპირდება ფეოდალიზმის ზეიმს და განცხრომას, კაპიტალიზმი კი (ვაჭარი-კინტო) განხეა, ნეიტრალიზირია.

რაც შეეხება გუდიაშვილის გრაფიკას (სადაც იგი თავისი მიმართულების მიხედვით უდიდესი ოსტატია), „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაში მხატვარი პოემის ეპოქის აპოლოგეტიკურ თვალსაზრისზე დგას,



საქართველოს საზოგადოებრივი ხელოვნების შემოკრძევათი პატაკი სურათზე: სახალხო მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის ნამუშევარი: „სტალინი ახალგაზრდობაში“.

ფოტო მარტიროსოვის.



გამოფენა „საქართველოს მხატვრები 18 წლის თავზე“.
სურათზე: მხატვარი კორნელი სანაძის სურათი: „გულიკომაც მოიხსნა ჩადრი“.



და ზედმეტი გუდიაშვილისებური ხაზების და პროპორციების დეფორმაციის გამოყენებით, ალბათ, საესე-ბით დაკმაყოფილდა ფეოდალურ-რაინდულ სიყვარულის პოეტს—რუს-ქთაველისა და მის თანამედროვეებს. თითქმის იგივე სტილიზაციის მანერა მხატვარს ვადმოაქვს საბა-სულ-ხან ორბელიანის ეპოქაში, რაც ეწინააღმდეგება კონკრეტულ ისტორი-ზმის მოთხოვნილებას, რადგან „სი-ბრძნე-სიცრულეში“ საბა უკვე ფეოდა-ლური საზოგადოების სხვა ფორმა-ციას იძლევა.

მეტის მეტად მძაფრად დგას ჩე-ენი მხატვრების წინ ფერწერის კულტურული მემკვიდრეობის კრი-ტიკულად დაძლევის და ათვისების საკითხი. არა ერთხელ აღნიშნულა, კერძოდ, მხატვარ კ. სანაძის შესა-ხებ მისი სწორედ არაკრიტიკული დამორჩილება პოლონდიელ პეიზა-ჟის დიდ ოსტატებისადმი. რა თქვა უნდა, ამ ოსტატების პრაქტიკა კო-ლორიტის საუკეთესო სკოლას წარ-მოადგენს, მაგრამ ჩვენი მხატვრების წინ დგას სოციალისტურ პეიზაჟის შექმნის ამოცანა. პოლონდიელი მხა-ტვრები უყურებდნენ ქვეყანას მცო-ნარე, ლიმფატიურ ბურჟუაზიის თვალით. მათის შეხედულებით, პო-

ლონდია იყო ქვეყანა, სადაც წყალი ქმნის ბალახს, ბალახი—ნახირს, ნა-ხირი—ყველს ერბოს და ხორცს, და ყველაფერი ეს ლუდთან ერთად — პოლონდიელებს (ტენი). მაგრამ მათ კოლორიტთან, ნისლში და წვიმაში ფერთა შეუმჩნეველ და ნაზ გადასე-ლებთან ერთად სანაძის შეუმჩნე-ლად მოჰყვება მათი წმინდა ბიოლო-გიური ფილოსოფია და ჩვენი მხატ-ვარი რჩება ნასხვისარ და შორეულ ოსტატობის ტყვეობაში, მართლაც „ბახმაროელ ჩალანდარში“, „გუ-ლიკოში“ თუ სხვაგან არის მოცემუ-ლი მუდმივი წვიმის და ნესტის ხარჯზე ფიზიოლოგიურად გაშმაგე-ბული ბუნება და ჯიშინი სილამა-ზის და სიმკვრივის ადამიანური ეგ-ზეპლიარები, რომელთაც მაყურებე-ლი წარწერების დახმარების გარეშე ვერ მიაწერს გარკვეულ ეპოქას და კლასს. ამით ჩვენი არ მოვითხოვთ მხატვრისაგან გაუბრალოებულ ანა-რეკლის თეორიიდან გამომდინარე პრაქტიკას, მაგრამ ერთი კი უდავოა, რომ სანაძემ ფლამანდიელებისაგან უკვე წამოიღო იმაზე მეტი, რაც მას სჭირდებოდა და ჯერ დროა დას-ტოვოს ის, რასაც პუშკინი მსუბუქი არონით უწოდებდა „ფლამან-დისი შკოლი პესტრი ვზღორ“.

თავისი მდიდარი შესაძლებლობა სა-ნაძემ უნდა მისცეს ადამიანის ურ-თიერთობას ინდუსტრიით დაძლეულ და დაძლევაში მყოფ ბუნებასთან, რომელსაც მხატვარი ამდენ ხანს უმეტეს მზამზარეული მემკვიდრეო-ბის მოჭარბებული ზეგავლენის ქვეშ უყურებდა.

ჩვენი ქვეყანა ბუნების მო-ნაცემით და სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციით პირდაპირ უხმობს და იწვევს სოცია-ლისტურ პეიზაჟის ოსტატებს, და სოციალიზმის მშენებელმა ეპოქამ უკვე მოგვცა ამისთვის მებრძოლთა მთელი პლეადა, რომელთაც კ. სანა-ძის გარდა, ეკუთვნიან თამარ აბა-კელია, კ. გრძელიშვილი, ა. კოპა-ლიანი, ს. მაისაშვილი, მახაროზლი-ძე და სხვ.

შესანიშნავია ის მიღწევები, რო-მელიც თავის შემოქმედებითი ენერ-გიით სულ მოკლე ხანში მოგვცა მხატვარმა თამარ აბაკელიამ, ახალი ადამიანის, მუშის და კოლმეურნის, ცხოვრების და ინდივიდუალური და იმავე დროს ზოგად კლასობრივ განცდების გადმოცემაში მან უკვე თავისი ორიგინალური მხატვრული სახე მოიპოვა. მისი მუშა და გლე-ხები არ არიან რაღაც კოსმიური,

განყენებული იდეების არჩილები. ისინი ზოგჯერ მესხნული, ცოცხალი მაღაროელი, მელითონე, წყალსადენის თუ ჩაის და მანდარინის მეურნეობის მუშეები.

მშვენიერი ოსტატობითაა შესრულებული კონსტ. ლორთქიფანიძის „ძირს სიმინდის რესპუბლიკის ესკიზები, რომელიც ჩვენი მწიგნობრული დასურათების შენაძენებს უნდა მივაკუთვნოთ. თამაშად შეიძლება ითქვას, რომ თ. აბაკელიას უკვე საგრძნობი მონაპოვარი აქვს სოციალისტურ რეალიზმის პოზიციების დაუფლებისათვის ბრძოლაში. მხოლოდ ჩვენის მხრივ გამოვთქვამდით სურვილს, რომ ზეთის ფერების ათვისება დიდს შემატებდა მხატვრის შემოქმედებას, რადგან, რაც არ უნდა იყოს საგნის, აკვარელს და ნახშირის მანერა აქვთ შესაძლებლობის ერთგვარი საზღვარი.

ერთი მწერალი ამბობდა რუსეთის 80-იანი რეაქციის წლების გამოშვებულ მხატვარ ლევიტანზე, რომ მისი პეიზაჟები ისე გამოიყურება თითქო თითოეულ ბურჟუაზიულ წაუკითხავსო. ცხადია, რომ კოტე გრძელიშვილის რამის ბურჟუაზი და კოლხიდის ქაობების მზის სხივებით აფერადებულ მიდამოებს და მათ გარდაქმნელ ადამიანებს ლენინის და სტალინის ოპტიმიზმი და შეტევა აქვთ წაკითხული და შეთვისებული. მაგრამ, იძლევა რა სიმსუბუქეს, ჰაერს და შვებას ფერებში და მთლად კოლორიტში, მხატვარი იმავე დროს ვერ აყენებს ადამიანებს ისეთ მიმართებაში ბუნებასთან, რომ პეიზაჟი გახდეს სოციალისტური, ე.ი. გადმოცემული იქნას გეგმიანი ადამიანის დაპატრონება ბუნებაზე, მაგ., რამის მომუშავეები, მიუხედავად მათი საკმაო პროპორციებისა, მაინც პირობითი, „საერთო“ ხასიათის ფიგურებია ვიდრე პორტრეტები.

ე. ახვლედიანის პეიზაჟები „სიღნაღის გზიდან“, „აბასთუმანი“, „თელავი“, „ზამთარი“, უსათუოდ მაღალი კვალიფიკაციის ოსტატის ხელითაა შესრულებული. მაგრამ ამასთან ცხადია, რომ აქ თავდება პასივისტური, იმპრესიონისტური პეიზაჟის გზები, რომ ეს არის ძველის გადამღერება ახლის კარებთან. ახალი იგონება „ყანიდან დაბრუნებაში“, მაგრამ თითონ გლეხი ფრანგ იდილისტების „ანგელუსის“ ტიპის მოდერნიზებული ფიგურა უფროა, ვიდრე ჩვენი კოლმეურნი და ინდივიდუალური მშრომელი გლეხი. ქალაქის პეიზაჟებში მხატვარი დიდის წარმატებით სძლევენ ბურჟუაზიულ ურბანიზმის თავის ყოფილ მანერას და იძლევა იმ რეკონსტრუქციის ტალღას, რომელიც შაითან-ბაზრის

ყალბ ეგზოტიკას სოციალისტური ქალაქის მოედნად აქცევს.

ს. ნადარეიშვილი. აქტიური მხატვარია პუბლიცისტი - ჟურნალისტი ფანქრით ხელში. სისტემატურად იბრძვის ჩვენს პრესაში. იძლევა სურათს „კლასობრივი შურისძიება“, სადაც კულაკს მოუკლავს სოფლის მუშაკი. მაგრამ კულაკი მხატვარს თანდაყოლილ ბოროტმომქმედის აშკარა დეგენერაციის ნიშნებით ჰყავს წარმოდგენილი: არა სწორი სოციალური მოვლენის „ბიოლოგიურად“ დასაბუთება. იმავე კულაკის ტიპის ვარიაცია გრაფიკულ ნახაზში ხომ მთლად ლომბროზოს თეორიის მიხედვითაა გაკეთებული — საცესებით უშუბლო, იგი პრეისტორიულ ადა-

მიან-პირუტყვს უფრო ზოგადიანს, ვიდრე „წმინდანივით“ წყნარ, შემწვრალ კლასობრივ მტერს.

მეტად საყურადღებოა დედოფლის მოქმედებითი ზრდის მანერები ირინე შტენბერგის ნამუშევარი. პირველი ადგილი უჭირავს უსათუოდ „ამხ. ტელმანის დაპატიმრებას“, სადაც მხატვარი იშვიათ გამომეტყველების ძალას იჩენს. ამ სურათში დაძლეულია დაზვის ფერწერის ტრადიციული სტატიურობა და აწერილობა. აქ ყველაფერი მოქმედ პირთა გარეგან და შინაგან მოძრაობის მთლიანობაშია მოცემული. რკინის ენერგიით, ბოქსიორულად დაბუჭებული ხელებით ტელმანი მიდის საბრძოლველად და არა „მიპ-



რუსთაველის თეატრის 10 წლის თავი.

რესპუბლიკის სახალხო მსახიობი. სანდრო ახმეტელი და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მხატვარი ირაკლი გამრეკელი „თეფილდის“ მკვლევარი.



რუსთაველის თეატრის 10 წლის იუბილე.

სურათზე: რუსთაველის თეატრის მუშაკნი სახალხო არტისტის სანდრო ახმეტელის მეთაურობით საიუბილეო საღამოზე.
ფოტო ბუდეშტსკის.



ყავთ“ ციხეში „საჯდომად“. უფრო-
სი ვაჟის თვალები მამის სიმტკიცე
და ცეცხლი ანთია. ეტყობა, იგი
არავითარ შემთხვევაში არ დათმობს
დროშას. ბელადის მეუღლეს თავი
ჩაუღუნავს, მაგრამ იგრძნობა, რომ
ისიც მებრძოლია და გორაკისებური
დედაა თავისი შვილებისა.

ალსანიშნავია მხატვარის მიერ ნი-
კო ლორთქიფანიძის „დანგრეულ
ბუდეების“ და ლერმონტოვის „ჩვე-
ნი დროის გმირის“ დასურათება. სა-
დაც შტენბერგს გამოჰყავს ლერმონ-
ტოვი ძველ ილუსტრატორთა ეგზო-
ტიკის რკალიდან და რეალისტურ-
სატირულ ფუნჯით მონახაზავს ლერ-
მონტოვის ტიპების გარკვეულ სო-
ციალურ-კლასობრივ სახეს.

საერთოდ გრაფიკა მეტად მდიდ-
რათაა წარმოდგენილი ბრაილოვს-
კაია, პრივალოვას, კოჯოაიანის, დ.
ჭუთათელაძის, ლადო გუდიაშვილის,
გრიგორიანის და სხვ. ნაწარმოებე-
ბით.

აკადემ. ლანსერეს „პარიზის ქუ-
ჩის რემონტი“, გ. შერბაბიანის „კა-
ლო ჯანგეზურში“, ფოგელის რაფი-
ნირებული სტილიზაცია, და სხვ.
ეკუთვნებენ დასრულებულ ოსტატო-
ბის ფორმალურ ნიუანსების არაბეს-
ვებს.

ფიროსმანის მანერისადმი სულიერ
კლიენტის ღონემდე დამორჩილებას
ამჟღავნებს ნიჭიერი შ. მარაღაშვი-
ლი, რომელმაც აუცილებლად თავი
უნდა დააღწიოს ამ მდგომარეობას
თავისი გზების მოძებნით სოციალ-
ლისტური სოფლის თემატიკაში, და
რაც მთავარია, ორიგინალური მხა-
ტვრული ენის მიღწევით. აქვე
ასეთივეა ჭანკვეტაძის დამოკიდებუ-
ლება გუდიაშვილთან.

საინტერესო და დიდი მხატვრული
ძალის შემცველია შ. ძნელაძის გლე-
ხური აჯანყებების ეპოპეა, მეტად
ბნელი კოლორიტი და ტილოს სივ-
რცობრივი არის შეზღუდულობა
რომ არ ვნებდეს.

აბ. ჭუთათელაძე წარმოდგენილია
„ალექსანდრეს ბაღში მიტინგის დახ.

ვრტით“ და კარგი ავტოპორტრეა-
ტით.

ახალი და ხელუხლებელი თემა
აქვს აღებული შ. მამალაძეს თავის
კინო მრეწველობის საწარმოო პრე-
სის გადმოცემის ცდებში.

გამოფენა უდაოთ და ნათლად
ამტკიცებს, დიდ შემოქმედებითი
შესაძლებლობას.

100 მხატვარი, 600 სურათი და
ნახატი—აი ჩვენი ქვეყნის განთავი-
სუფლებულ მასების გულიდან გამო-
სულ ოსტატების ისტორიული პასუ-
ხი ძველ ქვეყანას.

გამოფენა გვიჩვენებს შემოქმედე-
ბით ბრძოლას, მიღწევებს და ჩავარ-
დნებს, ახალი სოციალისტური ში-
ნაარსის და ფორმის დაძლევის გზა-
ზე გამოყენებულ ღონისძიებებს და
შედეგებს, რომლითაც მიდიან მასე-
ბში ადამიანის სულის ინჟენერები,
როგორც მწერლებს და მხატვრებს
უწოდა სოციალისტური საზოგადო-
ების დიდმა მხატვარმა—ხუროთმო-
ძღვარმა ამა. სტალინმა.




გარკვეული
მედიკოსები

უკვე შუალაშე გადასულიყო
ციდან ჩამოწყდა ვარსკვლავის შხეფი.
ნისლში ჩაფლული ქოხი გაიღო
დაგადმოვიდა ფეხებ აკრეფით
ამირანი და გაუდგა შარას.
ზურგზე ეკიდა ხურჯინი რბილი
გადააარა სოფელი ჩაქრა
და აღმა აყვა მდინარის ბილიკს.
წამით შეჩერდა მდინარის პირას
დასტოვა ქვაზე ქული და აბჯა
და შემდეგ აღმა მავალს და მზირალს
არ დაუხრია კისერი დაბლა.
დაბლობს ეძინა. ნესტის სუნით
იწვა სიჩუმე თხემლების თმებთან.
და ცაზე ხომლი როგორც სურვილი
ინდოეთისკენ გზას ანათებდა.
ქაბუკი გაყვა ფეხებს და ფიჭრებს
უთუოდ ოთხ დაიწყებს ჯახირს,
მაგრამ მამა კი ძალას მოიკრებს
და უპატრონებს ოჯახს და ნახირს.
ვაჟმა ფიჭრებში ჩახედა ბოფელს
დედის ტირილი ესმოდა სადღაც.
მამა და ბიძა ეზოს იყოფდნენ
და ქარი შლიდა ჩინარის ატლასს.
მშრალლაფაროსთან ხე აღმა სწორი
ბნელში კვდებოდნენ გარდის კონები.
ხოლო დღეში ლაქაშებს შორის
ენტო ვარსკვლავი და კოცონები.
მან ყური მოკრა მეფელს ყვარის
განვლილ ბავშობას ღარიბს და უბირს.
გადურბენია ოჩი და ტყვიარი
და რომ შორდება სწუხსა და უკვირს
ქაბუკის მამამ, და მამის ბაბუმ
ბაბუმ ადრე უხსოვარ პაპამ
შეწარა ღონე კამეჩებს დაბმულს
და ამ ქაობის პაერი ყლაბა.
ამირანს კი სურს ბედი გაკვეთოს
გარბის სოფლიდან ოცნების გზირა,
ვინც სახლში დარჩა რა გააკეთა
ვინ მოაშორა თავიდან ქირი.
ამირან გაჰყვა ფიჭრებს და ღუნებს
მან გაიხსენა თქმულება სოფლის.
როგორ ეწვია სიხნია გუნებს
და უღარიბებს მოსწმანდა ოფლი.
თუ როგორ კრებდა ნაპერკკლებს კაჟის,
უყვარდა ბუდეც ნაშენი მერცხლის.
იყო ღარიბთა დამხმარე ვაჟი
და ბეუტაჟი კერას შეუთხოვეს
მაგრამ მჭიდრობმა ვაჟაკი მარჯვე
შეიპყრეს, ღადრით აუვსეს პირი;
გადაატარეს ბარზე და ჯაჭვით
კაგკასიონზე მოაქრეს გმირი.
ტყვე მაინც გზავნის ლანქერს, ნაკადულ
ანოყიერებს სახანაგებს ბარად.
და ნაპირებში ყანაჲც ნაკვალავს
სტოვებს წარღვნების მოსაგონარად.
ამირან ფიჭრობს თქმულების აზრი
წარღვნის და ხანძრის კაჟშირში ნახოს.
და უნდა ქაბუკს დაბლობში აღზრდილს
მოინარით ციქვლი გამოიძახოს.
ამიტომ ვაჟი გლოვკაჟის ქოხმას,
სტოვებდა ღამით უკმევ შალივით,
გულს ედებოდა სოფელის ბოლმა



და შორს კვდებოდა მამლის ყივილი.
მთვარის სხივებიც მკენარ იეზივით,
ეყარა წყალში, ჩაზე და ცვარზე,
და ვარსკვლავები შეციებულნი
ტან აბუტგენილნი ვიდოდნენ ცაზე.
ვაჟმა დახედა მდინარის ფერადს
და დაბლა ჩამდგარ წყალის დროებას.
უკან წისქვილის ბორბლების ბგერა
არღვევდა ღამეს და მყუდროებას.
წისქვილის ქვაზე ურმის გოგორა
ვაჟს მოაგონდა, ჭრალი ესა.
ურმის მისდევდა სოფლის გოგონა
შეამჩნია და აღმოხდა კენჭსა.
ურმის წინ ჯანდა სწრაფე პაჟის
რბილი ბორბლები ცხუთა ფაფა.
შიგ იჯდა ქალი და ქალის ომანი
ქალის ხმებივით კიოდა ქარა.
მაგრამ ეკიბაჟს გაუსწრო ავტომ
დაკეცა შარა, ზეცა და ბარი.
ურემი დარჩა სოფელში მარტო
და ჩაუვარდა თხრილში ბორბალი.
გაქროლა ავტომ, ავტოს ხელებმა
შერჩა ზეცას და ზეცის ქვეშ ნორვეს.
ქალის თვალგზამც ცისარტყელგზათ
ფანჯრიდან ხალხზე გადაიქროლეს.
ბოლოს რგოლებმა დაიპყრეს ზეცაც
ბორბალმა ფრთები მოისხათითონ.
ჩაბრძანდა მთვარე, ეწვია მზესაც
და ცაში ფრენა ასწავლა ლითონს.
თითქმის იღვდა ორპირ რგოლებით
წინასწარმეტყველ ილიას ეტლმა
და ბრძენ ვაჟაკის კიურ გონებას
სწრაფი ბორბლები შეუთხზა ციქვლმა.
ბორბალი (აჟი, ბორბალი ბარის.
ბორბალი მთვარის, მზიური ბირთვი.
და დედამწის ბურთის ბორბალი
გონების მიღმა სივრცეში ილტვის.
წყალი და ციქვლი რგოლებს აქანებს
კამარის ქროლაც მიწიერ კიოის
და ვაჟში აოსტა რაღაც მანქანათ
მთლად საბერძნეთი და ჰეროკლიტე.
ვაჟმა გახედა ცხოვრების დამდეგს—
ეგდო ოამის ჩიჟმ ვილა ციალი.
და წისქვილიდან მიწის რთამდე
სჩანდა ბორბლების სწრაფი ტრიალი.



რუსთაველის თეატრის 10 წლის თავი

„ლაშარა“. დადგმა რესპუბლიკის სახალხო მსახიობის ხანდრო ახმეტელისა. მხატვარი — ირ. გაშრეკელი.

ახალი მუხრანის

ლევან ასათიანის ნაწარმი

ქსნის სადგურთან კორტოხზე წა-
მოჭიმულ ძველ ციხის ნანგრევებს
რომ გასცილდებით, გზა ხრიოკ
კლდეების ღლიდან ფართე, დაცე-
მულ ქალაში გაგიყვანთ. ეს ქალა
ყელივით შედის თვალუწვდენ ვაკე-
ში, რომელსაც მუხრანის ველი ეწო-
დება.

მარცხნივ რიყის თეთრ ჩარჩოებში
ჩაჭედებული ქსანი მუქარით და შფო-
თით მიაქანებს ლაქვარდოვან ტალ-
ღებს.

ღრმა ხეობიდან წყლის ხმაური ნა-
წყვეტ-ნაწყვეტად ამოაქვს ნიავეს.
დროგამოშვებით ეს ხმა ყრუვდება
და მაშინ იგი მუხრანის შორეულ
შრიას მოგაგონებთ.

მდინარის გაღმა გადატრუსული
გორაკები და ბორცვები შეჯგუფუ-
ლან, ერთმანეთს მისწოლიან და
ულონოთ დაუტყეციათ ყვითელი კალ-
თები. აღიანიდან მომავალი მტვე-
რიანი გზა-ტყეცილი კლავებით და
გრეხით ჩამორბის ქსნის ნაპირზე.

ვრცელია და ფართო მუხრანის
ველი. გარშემო იგი ლურჯი მთებით
მოზღუდულია. ეს მთები შორს გადა-
ლაგებულან პორიზონტზე, თითქოს
ციდილან ამ უხვსა და ნოყიერ კუთ-
ხეში რაც შეიძლება ფართე ასპარე-
ზი მიეცათ ადამიანის გარჯისათვის.

შემოდგომის თბილი მზიანი დი-
ლაა. თვალუწვდენელ ველიდან ხა-
ლისიან ნიავეს მოაქვს რაღაც სპეცი-
ფიური, შემოდგომის არომატი, —
შეზავებული სურნელება მწიფე ხი-
ლის, ფუჩეჩის, მაქრის, ახდილი ქვე-
ვრების. ეტყობა, ხვადიანი და ბარა-
ქიანი შემოდგომა ჩამდგარა ამ ნა-
ყოფიერ ქალებსა და ბაღებში.

ხეების მუქი სიხშირიდან აქა-იქ
უკვე მოსმანს სოფელი. მარჯვნივ,
წყალგაღმა, ხშირ ბაღებში, წითელ
კრაპიტანის სახურავები კოპჩიაო-
ბენ. ეს მუხრანის საბჭოთა მეურ-
ნეობის შენობებია. გზატყეცილიდან
მარჯვნივ ვუხვევთ, ხილზე გავდი-

ვართ და სოფლის შარა-გზას მივ-
ყვებით.

ეს უდაბური გზა, რომელიც წა-
ნათ გაუვალ ტევრებსა და უკაცრო-
ელ ქალებში გადიოდა, ალბათ საეს-
იყო ხიფათით და მოულოდნელი ფ-
თერაკით. თვითუფლი ხე, თვითუ-
ლი ბუჩქი და ლოდი იმ „დალო-
ვილ“ წარსულში ალბათ შეუმჩნ-
ველ უბედურების საფარს წარმოად-
გენდა.

„შემომეყარა ყივჩაღი,
ბოლოსა მუხრანისასა“...

საუკუნეებმა, როგორც ავდრიან
მა ღრუბლებმა, რისხვით გადაიარ
ამ მარად მიწაზე, უტკნობ ველებზე
შფოთიან ქსნის ტალღებზე.

ესლა ბატანიც კი უდარდელა
ძოვს ამ ჩირვებით დაფენილ მი-
დროზე. შარა-გზაზე გევდებიან ქრ-
ლ-კაბა დედაკაციები კალათებით და
ლოქებით, პატარა გოგონები ყურძნ-
აკიდოებით. დღეს „ყივჩაღების“ ში-
ში მათ არ აწხუებს. ეს გზატყეთრ



კოლმეურნეობა „შრომა“ (სიღნაღის რაიონი)

კოლმეურნეობა „შრომა“ 25-მა საუკეთესო დამკვერელმა, რომელთაც არ ჰყავდათ ძროხები, მიიღო თითო ხბო.

სურათზე: დამკვერელი კოლმეურნე იაკობაშვილი მიღებული ხბოთი.

კირანარი, მტვერიანი შარა, შორჩილად მიჰყვება მდინარის ჯაგნარ ნაპირებს.

შევდივართ სოფელში. ყიჟინთა და ჟრიაძულით გვხვდებიან წითელპერანგა ბავშვები; კენჭებს ესვრიან ჩვენს მანქანას, უკან მოგვსდევენ და ეგორიანტელში იმალებიან. შუკებიდან და ღია ჭიშკრებიდან მგლის მსგავსი ნავაზები მორბიან, გაწიწმბებული და ხმა ჩახლჩილი ყეფით გვაცილებენ მეზობლის ეზომდე და შემდეგ მოვალეობა მოხდილი სახით, კუდაბეჩიკი უბრუნდებიან თავიანთ კარებს.

* *

მუხრანი ძალიან დიდი სოფელია. აქ 1.400 კომლი მოსახლე ცხოვრობს; მათ შორის ბევრია სომეხი, ებრაელი, აისორი, რუსი.

მუხრანს ძველის ძველი ისტორია აქვს. ეს იყო საქართველოს უძლიერეს ფეოდალების, ბაგრატიონ-მუხრანბატონების საგვარეულო მამული. და რეზიდენცია.

შუა სოფელში ეხლაც აღმართულია გალავანი ორი სქელი და მაღალი კოშკით. ეს ამაყ და ზვიად ფეოდალების ციხე-დარბაზი ყოფილა, სასახლით, კარის ეკლესიით, საომარი ბასტიონებით, რკინის ურდულიანი ალაყაფის კარებით...

სიძველისაგან დაჰორფილილი გალავანის კედლები და შეგლავილი კოშკები თითქოს საუკუნეთა სიღრმიდან გადმოჰყურებენ გარშემო ღორძინებულ ახალ ცხოვრებას, მოვლსუსე უცნობ ადამიანებს.

ციხე-დარბაზის მახლობლად მუხრან-ბატონისავე ორსართულიანი თაღებიან-კამარიანი სასახლეა წამოჭიმული. რასაკვირველია, ეხლა იქ, სოფლის სკოლაა გამართული და ბავშვების ჟრიაძული აყრუებს ფართე ეზოს.

მუხრანი მეტად უწესრიგო შთაბეჭდილებას სტოვებს მნახელზე. ხის ძველი წაფერდებული ოდები, ორსართულიანი აგურის სახლები და მაღევერდით ბანიან-ერდოიანი მიწურები, ისე დომბალივით არის ერთმანეთში არეული, თითქოს ამოდენა შენობები ციდან გადმოუყრიათ და ისე უწესრიგოთ დაფანტული დარჩენილან მინდორზე.

სოფლის ქუჩა ამ სახლებისა და ეზოების ქაოსში მიძვრება, ხან უცრად მოტხვევს, ხან წინ დახვედრილ შენობას შეეხებება და განზე უქცევს.

ფოსტის პირდაპირ, დუქნის დარბაზში პატარა კანტორაა მოთავსებული. ის მუხრანის ებრაელთა კოლექტივის გამგეობას ეკუთვნის.

შევდივართ კანტორაში. იქ არავინ არის დარაჯის გარდა. გამგეობის წევრები ბაღში და მინდორში არიან გასულნი. შემოდგომაა. ქალი და ბავში, მოხუცი და ახალგაზრდა, — ყველა გაცხარებულ მუშაობაშია გართული: კრიფავენ და ეზიდებიან ჭირნახულს, ხილს, ყურძენს. ინახავენ შრომისა და გარჯის ნაყოფს. შიწის დოვლათს, ზევიან მოსავალს.

დარაჯი მიდის ბაღში, რომ დაუძახოს ვინმეს. გამგეობის წევრი და მოანგარიშე დათიკო ბაზაზაშვილი

აქვე ახლოს, მინდორში წასული „მემსის“ წარმომადგენელი ჩამოსულა, რაიონის საბჭოდან კოლექტივისათვის ახალი 13 ჰექტარი მიწის მისაღებად. დათიკოც მასთან შეხვედრაზე ფეხბ.

კანტორაში მარტოა ვირეზით. სუფთა კედლებზე პლაცტები და ბელადების სურათებია გავრული. იქვე კოლმეურნეთა სია, შრომადღეების წუსა და კოლექტივის ნაკვეთების დიაგრამა ჰკიდია.

კოლექტივის ფართობი, როგორც დიაგრამიდან სჩანს, 50 ჰექტარს შეიცავს. ბეჯით მოანგარიშეს აქვე მოყვანილი აქვს ამ ფართობის განაწილება. გონებას იტაცებს უცნაურ სახელწოდებათა ფერადოვნება:

აი, ეს ნაკვეთებიც: პირველი — სარწყავი. ჰაჟური სახნავი მიწა 17 ჰექტარი, მეორე: ურწყავი სახნავი მიწა 10 ჰექტარი. მესამე: სარწყავი გარდუშა სახნავი მიწა 6 ჰექტარი. მეოთხე: სარწყავი. სახნავი. ნაზვრევი, ბოსტანი. მეხუთე: ჭაობი, ზილის ბაღი. იძლევა ნაყოფს 2,5 ჰექტარს. მეექვსე: სარწყავი ნათილარები სახნავი მიწა 5 ჰექტარი. მეშვიდე: ჭაობი ხილიანი ახალი ნამყენი. 1,5 ჰექტარი და ჭაობი ვაზიანი სარწყავი 0,5 ჰექტარი. მერვე: გოზა ვაზიანი 1 ჰექტარი. მეცხრე: გოზა ხილიანი იძლევა ნაყოფს 1,25 ჰექტარს. მეათე: ქარხანა. საბოსტნე. სარწყავი 0,25 ჰექტარი....

აქ ყველაფერი გამოთვლილია, ნაანგარიშევი, გაზომილი: წლების მანძილზე ნიადაგის ხასიათი — შესწავლილი, მოსავლის დაახლოვებითი რაოდენობა — ნაგარათდევი. იქვე კედელზე კოლმეურნეთა სია ჰკიდია.

ეს ბაზაზაშვილები, დავარაშვილები, თბილელაშვილები და სხვები ძველთა-ძველი მუხრანის ლატაკი მეწვრილმანები და ხელოვნები, ადღისა და ბოლჩის უმწერო მონები, მთელი ეს ოდესღაც გაქარდული, დამცირებული და საწყალი გეტო დღეს მიწის ერთგული მშრომელი გამხდარა, ახალ ცხოვრებას შესდგომია. იმედიანად მომავალს დახარბებია და ზიზლით ზურგი უქცევია ძველი ბეჩავე ყოფისათვის.

კანტორაში შემოდის რამდენიმე კოლმეურნე ებრაელი. დათიკოს კითხულობენ: დათიკო ეხლავე მოვა. ჩვენც მას ველოდებით. მოიცადონ მათაც. ჩვენ გვინდა მათთან საუბარი და საუბარი იწყება.

— რამდენი კომლია თქვენს კოლმეურნეობაში?

— ოცდა ცხრა.
— ყველა ებრაელები ხართ?
— არა ებრაელები 22 კომლია, დანარჩენი შეიდი — ქართველები, აისორები, რუსები.

— რატომ ხართ ასე ცოტა? ვოლექტივს გარეთ ბევრი ებრაელია დარჩენილი?

— არა, მუხრანში სულ 22 კომლი ებრაელი ცხოვრობს და ყველა ამ კოლექტივშია გაერთიანებული.

მართლაც, პატარაა მუხრანის ებრაელთა კოლექტივი. (საერთოდ მუხრანში 8 კოლექტივი ითვლება გარდა ებრაელებისა). დიდიან-პატარიანად აქ 133 სულია გაერთიანებული. ამ კოლექტივს არც ხანგრძლივი წარსული აქვს. იგი დაარსდა 1930 წელში. პირველად კოლექტივში 17 კომლი ითვლებოდა. კოლექტივს გარეთ დარჩენილი ხუთი სექტაკოსი რამდენიმე ხნის შემდეგ დარწმუნდა კოლექტიური ცხოვრების უპირატესობაში და განკარგობებულ ჯახივს კოლექტივში გაიშვა არჩია.

დათიკო ბახაშაშვილი ბრუნდება ბალიდან. ის ახალგაზრდა, შავთვალ-წარბა, ეშხიანი ბიჭია. ღიმილით გვეცნობა და მცირე საუბრის შემდეგ გვეპატიუება წავიდეთ კოლექტივის ადგილებისა და ქონების დასათვალიერებლად.

გზა და გზა ახალგაზრდა დათიკო, რომელიც თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს, გვიამბობს კოლექტივის ავან-ჩავენს.

— წეოს მოსავალს არა უშავს რა, გვამცნობს იგი, — პური შვიდასი ფუთი მოგვივიდა, ქერი ორასი. ხილსაც კარგი გამოსავალი ჰქონდა—ვაშლი, მსხალი, ატამი, სულ ათას ხუთას ფუთზე მეტი მოგვკრიფეთ. სიმინდიც ბლომათა გვაქვს. ათასი ფუთი მოვიწიეთ. არც ვაზის მომდურავი გართ. ღვინო გვეყოფა. ორას ორმოცდა ათი ვედრა მუხრანული ღვინო არც ისე ცოტაა.

მტვერიან ქუჩაზე ჭრილობით მთადის ფართე, ქართლური ურემი. მას მეორე და მესამე მოსდევს. ურემებზე მაღალი ხეივებია გამართული. მოდიან ყოვანა კამეჩები. აბრიალებენ სისხლიან თვალებს, ლორწოიანი ყბებით მოიცხნიან და ღონიერ ქედით დინჯათ მოაგორებენ ყურძნით დატვირთულ მძიმე ურემებს.

რთველი ჯერ კიდევ არ გათავებულია. ურემებს პატარა გოგონები მოსდევენ. თან მოაქვთ ყურძნით სავსე კალათები.

— ჩვენი ზვარიდან მოაქვთ ყურძენი, — გვეუბნება დათიკო. — შეუღ, ბევრი დაგრიანთ კიდევ? მიმართავს იგი მეურმებს, რომელიც ხანტ ცხოველს ღონივრად უტყალაშუნებს იფნის სახრეს.

— ხეალისათვის დაგვრჩა ცოტა, დათიკოჯან, სადილობისათვის სულ ჩამოგვკრიფავთ. შეუღი მკვირცხლათ ტრიალდება კოფოზე, ხეირიდან რამდენიმე ტევანს ირჩევს და დათიკოს თვალს უშაქუნებს ჩვენზე, — გაუშას პინძლიდო.

შემოდგომაა. სიმღერა, ჟივილ ხივილი და მხიარული შეძახილი გაისმის ყველგან, ეზოებში, ბაღებში, მინდვრებში.

აგერ გარმონისა და დოლის ხმაც მოგვესმის. მაგრამ ეს რა არის? მოსახვევში ორი მაღალტარიანი წითელი დროშა მოაქვთ. დროშებს ხალხიც მოსდევს. ხალხის თავზე ნეღი, რიტმული რხევით მოირწყევა მიწისფერი სადა კუბო. სამგლოვიარო პროცესია გვიანლოვდება.

მღუმარე, თავჩაქინდრული მოხუცები მოდიან, ქალარა თავები დაუხ-



საუკეთესო მთავრობა ბოილისში

მეოცედა კონკურსში პირველი პრემია მიიღო ორჯონიკიძის რაიონის (აღმასკომის ქ. № 4) მეზოვემ აშ. მათეფოზოვი.

სურათზე: მეზოვე აშ. მათეფოზოვი. ფოტო ჯეირაჭოვის.

რით და ფიქრებში წასულან. მათ უკან მოყვებიან თალხი თავსაფრიალი დედაკაცები. კუბოში მოხუცი გლეხის ცხედარი წევს. მიცვალებულს ყვავილების ნაცვლად მკერდზე და მუხლებზე ვაზის შტოებისაა გან დაწული. გვირგვინი ადევს, ხშირი ფოთლებით გაბარდნილი და მსხვილი, შავი მტევნებით დახუნძული.

ყვავილების ნაცვლად ვაზის ფოთლები და ყურძენი! უკანასკნელი სადალი გზა მოხუცი კოლმეურნისა სამარმდე ვაზის ფოთლებით შეუწყიათ. არასოდეს მინახავს უფრო ლამაზი თავიგული, უფრო საამო და შესაფერი გვირგვინი, მიძღვნილი მიცვალებულისათვის მისი ცხოვრების და ნაღვლის დასაფასებლად.

პრელ პერანგა ბავშვები ერთხანს მისდევნენ პროცესიას. შემდეგ მხიარული ჟრიაშულით გარბიან უკან, მინდორზე კუდაბეკილ ხბოს იჭერენ და ყურებში მაგრად ჩაფრენილნი, სადღაც მიათრევენ დაფეთებულ ცხოველს.

ჩვენ მიგყვებით მტვერიან, ვიწრო შუკებს, დაწულ ღობეებს და რიყის ქვით ნაგებ ყორეებს. ქვითკირის სახლების გვერდით წარამარა ვხდებით ერდოიან-ბანიან მიწურებს—ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინად ქართლის ღარიბი გლეხობა მიწაში ცხოვრობდა, აი, ასეთ მიწურებში.

აქა-იქ ეზოებში, აივანზე და კიბის თავზე ქალები ჩამსხდარიან—ჩუროხელებს აცვამენ, ზოგან ავლებენ კიდევ. მოხარბული ტბილის ქვაბებს ოხშივარი ასდით. გრძელ ხარდანზე დაკიდებულ ახლად ამოვლენებულ ჩუროხელებს, რაც ვეებერთელა



ლენინის ძუჩა იგება ასფალტით

სწარმოებს ლენინის ქუჩის ასფალტითდაგება.

სურათზე: ქვაფენილების ნაპირებზე აკე-ოგბენ ბეტონის ზღუდეებს.

ფოტო ბუდუშტკის.



ბჟილისი. მასოგრივი შაბათობა „ჯაგოტჯაროს“ საფოგებში

სავარცხელს გვაგონებს, ტუჩებ და-
ზუზნლული მსუნაგი ბავშვები მელის
ლეკვებივით უტრიალებენ გარშემო,
ქალების წყრომა, წყევლა და ბავშვე-
ბის მზიარული კისკისი ირევა ირთ-
მანეთში.

მახსენდება ტკბილი, დაუბრუნე-
ბელი, შორეული სიყრმის წლები,
ონავრობა, შემოდგომის ხეავი და
ბარაქა სოფელში. ერთი წუთით გუ-
ლზე მოწოლილ სევდისა და სინა-
ნულის გრძნობას სცვლის მხნე და
ხალისიანი შეგება, რომ ეს დიადი
ბუნება და ადამიანური ცხოვრება
მარად ცვალებადობის მიუხედავად
რჩება მაინც ნორჩი, მიმზიდ-
ველი და საამო.

მუხრანის კოლმეურნეები შეძლე-
ბული ცხოვრების გზას დასდგომიან.
ადრიაან შემოდგომაზე პური უკვე

განაწილებული ჰქონდათ. მარტო
ხორბალი თვითნებულ შრომადღეზე
გაეცათ კილო და ორასი
გრამის რაოდენობით. ესლა სიმინ-
დი, ლობიო, ქერი, ღვინო, ხილი —
ამათ სხვა ანგარიში ჰქონდა და ეს ან
გარიში ძალიან საგრძნობი და ხელსა-
ხები დოვლათის შინაარსს აძლევდა
კოლმეურნის წიგნაკში გულმოდგი-
ნეთ გამოყვანილ ციფრებს.

მუხრანის ებრაელ კოლმეურნეებს
საკუთარი აგურხანა მოუწყვიათ. მათ
საშუალება აქვთ ჩქარა აიშენონ
საკუთარი ბინები. ისინი ჯერ კიდევ
ნაქირავენ სახლებში ცხოვრობენ.

კოლექტივს მოეპოვება საკუთარი
ბოსელი, პროდუქტების საწყობი და
რაც მთავარია ტრაქტორი. არ აკლი-
ათ სასოფლო-სამეურნეო იარაღები:
კოლექტივს აქვს ერთი თვითმკრე-
ლი, ორი გუთანა, კულტივატორი,

სანიავებელი მანქანა. სამი ფურცო-
ნი და ერთი ეტლი, კოლექტივის სა-
ტრანსპორტო მოთხოვნილებას სავ-
სებით აკმაყოფილებს.

კოლმეურნეთა სამ მეურნეობაში
კუთხარი ძროხები ჰყავს. კოლმეობა
ზრუნავს იმისათვის, რომ თქონი
ოჯახებს საშუალება მისცეს ხბოე-
ბის შეძენისა. ჩქარა თვითნებულ კოლ
მეურნეს ეყოლება საკუთარი მეწვე-
ლი ძროხა.

მუხრანის კოლექტივში „წარჩინე-
ბული“ წევრებიც იმყოფებიან. ესე-
ნი არიან დამკვრელი კოლმეურნე-
ები.

ასეთია ილიკო ბაზაზაშვილი, რო-
მელსაც 175 შრომა დღე აქვს გამო-
მუშავებული. ის კოლექტივის წევ-
რია დაარსების დღიდან. წინად მე-
ბოხზე ვაჭარი იყო, ესლა მისაბადი
მუშა კოლმეურნეობაში: თესავს,
ბარავს, ყარაულობს, ხილს კრევს,
ყველაფერს აკეთებს და ყველგან
პირველია თავისი მუყაითობით. თუ-
რმე ეს მუხრანელი ებრაელი არ
„დაბადებულა“ ვაჭრად, როგორც
ბევრი ფიქრობდა წინათ ებრაელების
შესახებ.

ხილის ბაღში გახურებულ მუშა-
ობას წავაწყდით. სამხასევარ ჰექტა-
რის ფართობზე გაშლილა ეს საუც-
ხოვო ბაღი. საუკეთესო ვაშლი და
მსხალი მოდის აქ: რანეტი, კალვინი,
გულაბი და ათეული სხვა ჯიში. ხე-
ხილის ჩრდილში ვეებერთელა ხეავე-
ბათ დაეხარისხებიანთ ვაშლი და
მსხალი.

ხილი იქვე დაწნულ ფარდულში
შეჰქონდათ გოდრებით, იქაც ჯიშე-
ბის მიხედვით ცალ-ცალკე ინახა-
დენ ყვითლად და წითლად მოელვა-
რე საუცხოვო ნაყოფს.

რახელ ბაზაზაშვილი მუშაობაში
იყო გართული. ეს მხნე და ენერგი-
ული ქალი თურმე სამაგალითო წევ-
რია მუხრანის კოლმეურნეობისა. მი-
სი სახელი შორს არის გავარდნილი.
არა ერთხელ ყოფილა ის დაჯილ-
დობული დაკვრითი მუშაობისათ-
ვის. უკანასკნელად ტფილისის საგა-
რეუბნო მეურნეობის რაისაბჭოს
რახელი 100 მანეთით დაუსაჩუქრე-
ბია.

რახელი გავიმასპინძლა ვაშლით.
თავშლის ტოტით ოფლიანი ნი-
კაპი მოიწმინდა და ჩვენთან ერთად
ასიც შეეცა შარბათივით ტკბილ
თურაშაულს. დილას აქვთ მუშაობა-
ში გართულს მას არც კი გახსენებია
პირის გასველება.

ის ღონივრად კბენდა ვაშლს და
მადის აღმძვრელად ილუქმებოდა.



სურათზე: აფხაზური გუნდი ფანტოლას სელმძღვანელობით.

ფოტო ბუდეშტისა

გაგაფსული სფილისში

მზე შინაო, მზე გარეთა
მზე შინ შემადიო.

ხალხური

ისევ აინთო სხივები,
გათბა პური მიწა;
ქუჩაზე დააქვთ იები
და იყიდება იმ წამს.
მზე ილიმება თბილად
გულს რალაც ფიქრი უღევს;
თითქოს იწუნებს ბინას
ქუჩაზე გავლა სურდეს.
ნეტავ დაგორდეს ციდან
და რუსთაველზე დადგეს.
ახლოს ვიხილო წმინდა,
ცეცხლის მფრქვეველი ბაგე.
შენი მეტოქე არი
მზე ამოსული მცხეთას...
სადაც გრიალებს ქარი
თითქოს იბრძოდეს მხეტთან
წავიდეთ ერთად ქალაქს,
ვხვეროთ მიდამო, ქუჩა:
ქალაქს მიღები რკალავს
და ბოლო აღარ უჩანს.
ბარათაშვილის მტკვარი
ცრემლის, სევდების კერა...
მისი ტიტველი ტანი
იცვამს ბეტონის პერანგს.
მეტეხს—ამ ბოროტ მეფეს
ერთად, გვაჩვენებს მტკვარი...
და გაგაოცებს ბებერს
მეტეხის ღია კარი.

მიქელ პატარიძე

თ * თ

გ ა შ ი

სცენა ახალი პიესიდან

შალვა დადიანი

XI საუკ. მეორე ნახევარში საქართველოს წევია რუსეთის იმპერატორი. „ნამესტიის“ სახალხოში ხელმწიფეს ტანისა-მოსს აცმევენ. ცალი ფეხი შეხვეული აქვს, უბაც ახვეული. თავს ადგანან: მემკვიდრე ცესარევი, ახალგაზრდა დეგენერატი, ლაშაში სახის, ხშირად ფილენჯის ქარი მოსდის. გენერალიტეტი—ახმაზი ვაჟკაცები, ნამესტიკი, ამაღა და სხვ.

ხელმწიფე. ატატატატა! მე შენ გიკრძალავ, ჩოქად!... საძაგლათ გაქვს მოწყობილი აქაურობა... გზები რასა ჰგავს... ეს მაინც ვერ უბრძინე გუბერნატორებს—სადა მე გავივლიდი იქ მაინც, გზები შეიკეთებოდათ? როგორია ეს? (მტკივან ფეხს უჩვენებს) ფეხ—მოტეხილი იმპერატორი!

ნამესტიკი.. თქვენო უდიდებულესობა... ფინანსთა მინისტრმა... ძალიან გვიან...

ხელმწიფე. ფინანსთა მინისტრი, ფინანსთა მინისტრი! აქ კი შენ არაფერი არ გაგაჩნია? კავკასიის ბატონი ხარ და... გროში—კაპეიკი არა გაქვს?

ნამესტიკი. მთიულეთთან ომმა ჩაყლაპა ჩემი ხაზინა... ფინანსთა მინისტრი პირადად ჩემი მტერია..

ხელმწიფე. მტერია, მტერია! ჩერჩეტი! (უეცრად წამოიკვნესებს) აი, აი, აი!

მემკვიდრე. რა იყო, მამიკო? ხელმწიფე. ოო, ეს ოხერი ფლიუსი... მომკლა ამ ოხერმა...

1 გენერალი ჩოხით ოო, ხელმწიფეო, ნეტა მტკიოდეს ეგ კბილი და შენ კი ასე შეწუხებულს არ გიყურებდე... რა ვქაა შე უბედურმა, ჩემი ამოვითხარო, შენ ჩაგისკა?

ხელმწიფე. რას ლაპარაკობს? კავკასიელია? უთუოდ იმიტომ ვერ გავიგე.

2 გენერალი ქულაჯით. იი შაგისთანა კბილს კი... დაგისხი თავსლაფი, შენისთანა ხელმწიფე — იმპერატორი შემოწუხა.

ხელმწიფე. ა? ჰო, ეს კავკასიური ზრდილობაა უთუოდ, არა?

ნამესტიკი. გავებდავ და მოგახსენებ თქვენო დიდებულება, რომ ძალიან მალე საქართველოს თავად-აზნაურობა გაიხლებათ და თქვენ ბედნიერ თვალთა წინაშე წარსდგება...

ხელმწ. ოო, ვიცო, წყევლი იყო, მოვიდნენ?

მორიგი გენერალი. არა, თქვენო უდიდებულესობა...

ხელმწ. ფსტ? (არავის არაფერი არ ესმის) ფსტ? (ანიშნებს, რომ კავკასიელი მოადგილის გენერლები გავიდნენ. მიხვდებიან და გავლენ).

ხელმწ. (თითქმის ტირილით ნამესტნიკს) მიშენკა, ძვირფასო! (ეხვევა) რა მომივიდა გუშინ საღამოზე რა!

ნამესტნ. (შეშფოთებული) რაზე ბრძანებ, ხელმწიფეო?

ხელმწ. აი ის, სიტყვა რომ მივეცი...

ნამესტნ. ოო, ეგ კი ნამეტანი იყო, თქვენო დიდებულეზავ, მაგრამ ბრძანეთ კი.

ხელმწ. როგორა გბრძანებ, როგორ? აბა გამახსენებ.

მემკვიდრე. თქვენა თქვით, მამიკო „რასაც კი მთხოვს საქართველოს ჩემი სასიქადულო თავად-ახანაურობა, ვიძლევი მეფის პატიოსან სიტყვას შევასრულებო!

ხელმწ. (მოიკმუნება) ნუ თუ ასე ვთქვი?

ნამესტნ. სიტყვა-სიტყვით თქვენო დიდებულეზავ?

ხელმწ. ოო, დასწყევლოს ღმერთმა! (გაბრაზებული მტკივნა ფეხს დაარტყამს იატაკზე, ეტკინება და ყვირილს მორთავს) ვაიმე! (მიესევია, დასვამენ ულოლიავენ. ცოტა ხნის შემდეგ მოსულიერდება. ნახევრად მიწოლილი) არა, ეს რა მომდის ამ წყევლ კავკასიაში! ფეხი მოვიტეხე, კბილები მტკივა, თავი კი დღევ ავტო-ავტო გამისკდეს... სულ კი აქაური წყევლი ღვინის ბრალია. ღვინო კი არა რალაც ელეო იყო, ამ სისქე არაფერი. სასმელი არ მინახვს. მერმე კიდეც ის სასმისი.. რა იყო?

ნამესტნ. ყანწი, თქვენო დიდებულეზავ!

ხელმწ. ბრ... ეხლაკი გული შერევია..

ნამესტნ. თქვენ რომ გვირდში გეჯდით აქაური კნიაზი... აი, მოხუცი, ღირსი. იმან თქვენ შემდეგ სამი იმისთანა დალია.

ხელმწ. ოჰ, მთელი ერთი ფუთი? უთუოდ ერთი ფუთი იქნება... ნადირო!

ნამესტნ. ეს აქ მიღებულია, ხელმწიფეო!

ხელმწ. ვიცო, დასწყევლოს ღმერთმა. აი, აი, აი! კიდეც კბილი ამტკიცდა.

გაეცინება ჰა, ჰა, ნაპოლეონმა რომ მოსკოვი აიღო, თურმე სუსსუნატი შეეყარა. მე რა მიმართება! კავკასია მე არ ამიღია და... დავმახინჯდი ნამდვილათ.

მემკვიდრე. (ახალგაზრდა ადიუტანტს, საიდუმლოთ) ქალებს არ გა-

ჰკარებია და ვენეროული რაჰმ საიდან დამართებოდა.

ადიუტანტი. (ეგრევე) სამაგიეროთ ჩვენ უფროსილდეთ, თქვენო უმაღლესობა! წუხელის ისეთი აღსასრულის, წითელი... აბრეშუმი დავხიეთ... გასსოვთ შავ-თვალ-წარბა?

მემკვიდრე. (ხმა-მაღლა) გემრიელია!

ხელმწ. რა არის, შვილო, გემრიელი?

მემკვიდრე. (აიღებს მაგიდიდან) შოკოლადი, მამიკო- გინდა?

ხელმწ. აჰ, გამეცალე!.. მაშ, მიშენკა... ვთქვი, ვთქვი! ცხადია ჩემი სიტყვით ისარგებლებენ მომთხოვენ რასმეს. ცხადია საკუთარ მიფეს მომთხოვენ...

ნამესტნ. როგორ გაბედავენ?

ხელმწ. როგორც დაგიბარებია. დარწმუნებული ვარ: ავტონომია, მეფე. ჰმ! როგორ გგონია, მიშენკა, ვინ უნდა მიეცე მეფით? რასაკვირველია, ქართველი არა...

ნამესტნ. თუ კი მაგაზე მივარდება საქმე, რასაკვირველია, ქართველი არ გამოდგება... ისევ რომელიმე დიდი მთავარი...

ხელმწ. ყოჩაღ! მეც აგრე ეფიქრობ. ჰკუა გიჭრის, მაგრამ რომელი?

ნამესტნ. რომელზეაც თქვენს ყურადღებას შეაჩერებთ, თქვენო დიდებულეზავ.

ხელმწ. კონსტანტინე?—ქურდია... ემსმენელები შეშფოთდებიან ნამდვილი ქურდი. სულ გასცარცავს ქვეყანას. გადაადგებენ.

ნამესტნ. მაშ მიხილი?

ხელმწ. მიხილი? მიხილი ლოთია. მერე აქ? ოო, როგორ მოეწყობა, მაგრამ ქვეყანას ვერ გამართავს, ღვინოში ჩაიხრჩვება. გადაადგებენ.

ნამესტნ. მეტი ღონე არ არის ალექსანდრეზე უნდა შევჩერდეთ.

ხელმწ. სულელია, ჩერჩეტი. ერთ თვეს არ გააჩერებენ.

მემკ. მამიკო... ლეისტენბერგის პერცოგი...

ხელმწ. ოოჰ, ეხლა ნემეცებით გინდა გავსო ქვეყნა? მე ისა მაქვს სამწუხარო, რომ შენც ნემეცების ქალისშვილი ხარ. არა, ასე არ ივარგებს, არა... ოოჰ, რა ჩაიღინე მე ჩერჩეტმა, რა! ვინ მსჯიდა, რომ მეფური სიტყვა მივეცი? ვინ დამაძალა? მიშენკა, იქ არიყავ? კალთა ჩამოგეწია, თვალთ გენიშნებინა.

ნამესტნ. თქვენო დიდებულეზავ!

ხელმწ. ჰო, მართალია! მოფეთქებული კაცი ვარ, როგორც ყველა გენიოსი. (უხერხულ პაუზის შემდეგ) აჰ, რა ჩაიღინე რა! საუკეთესო ბრილიანტი ჩემს გვირგვინში.

მემკვიდრე. მამიკო, ამ ბრილიანტზე თქვენ წუხელისავე ბეგის ელაპარაკეთ საქართველოს თავად-ახანაურობას.

ხელმწ. ჰო.—და აი ეს ბრილიანტი უნდა შევარყო.

მემკვიდრე. არაფერია, მამიკო, არ გამოვარდება... მე დავამაგრებ ესევე.

ხელმწ. (ელმაცერა) (გახედავს) შენ დამაგრიბ: მამიკო, შენცაა! რამ ისეთ დეგენარატათ გამოიყურები, შენით არ დასრულდეს ჩვენი სახელოვანი დინასტია.

მემკვიდრე. (გაბუტული მიბრუნდება).

უხრალო კანცელიარია. მაგიდასთან სასამართლოს ბოქაული ჯაჭვ-გადაკიდებული. შორი-ახლო დარაჯი. ერთი მხრით მყიდველები: თავად-ახანაურობა სოვდაგარები, ქალეზები. მეორე მხრით გასასყიდი გლეხობა: მოხუცები, ახალგაზრდები ბავშვები. ხმაურობა გამდგარი. ბოქაული, სათვალე-აღებულო, რაღაც ქაღალდებს ჩასჩერებია, წინ ჩაქუჩი უძევს. დიდი ხრიალია გასასყიდეთ: მოხუცები გმინავენ, ქალები მოხუცებთან, ბავშვები სხმარტალებენ. ვაჟკაცები მორჩილებითა დგანან, მაგრამ თვალები მრისხანებით უფლვარებენ. ამშვიდებენ თავისიანებს.

ბოქაული (თავს აიღებს) კარგი, გეყოფათ! რა გაღრიალებთ.. ხომ ხედავთ სადაც იმყოფებით. ტყეში კი არა ხართ? ნადირები! ან ყანაში? დათვები! ხომ ხედავთ, რაღაც მკილია.. (ჯაჭვზე აჩვენებს) ხმა, კრინტი! მე თქვინი მაკვირვებს კნიაზებო და კნენებო! ესენი თუ გინდა კარგი, პირუტყვიბია, მაგრამ თქვინ ხომ წაინც კარგი ჯიშისა და მოდგმისა ხართ...

მანდილოსანი. უი ქა, ჯიში რას მიქვია! საწველი ფური ვარ თუ..

ბოქაული. რით ვერ შეიჩვიეთ ხანს.. რამდენჯერ ბრძანეთულობათ ამ ვერანა ტორლებზე, მაინც თავის დაჭერა ვერ ისწავლეთ. აბა რითი-ღა განგასხვავოთ ამ ტილიან ღორებისაგან.

კნიაზი. შენ ეი, მანდ ენა დაიმოკლე ჯანუკაშვილი ხარ თუ ვილაც




ციტრუსების ნაყოფის გადამმუშავებელი საცდელი სადგური. სურათზე: აგრონომი პრიგოლაშვილი ღებულობს ციტრონების გამოწვენს



აზიერ-კავკასიის ხელოვნების ოლიმპიადი.

სურათზე: სომხეთი: სეთნოგრაფიო ცენტრის სახელმწიფო ანსამბლის მუსიკოსები (ხელმძღვანელი ლისიციანი).

ფოტო ბუდუშტკის.



დანდუკაშვილი! მე იმას არ მივხედავ, რომ რაღაც ორი ღერი რუსული გისწავლია და ეგ რაღაც არის ჩამოგიპროწილებია...

ბოჭაული. კნიაზო, ჩემი შეურაცხყოფის უფლება არა გაქვს. როდესაც მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ, თავი ირიგზე უნდა დაიჭიროთ.

სოვდაგარი. კარგია ერთი, ნუ გვატყუებ, შენი შეილები მზესა. ესენიც შეიცოდენ, რაც უნდა იყოს ადამიანის სახე მაინცა აქვთ. ბარემ ღრით გაიგონ მაინც არის — ვის ხელში ჩავარდნენ, გაიყიდნენ, არ გაიყიდნენ, ვინ არის მათი პატრონი?

ბოჭაული: (უფრო რბილად) ემ საათში, ემ საათში! ფაფა ზომ არ არის, რო სული შეუბერო... სახელმწიფო საქმეა... ვაჟი რამ არის. (აწყოვს ქალაღებს, შემდეგ გამოსძებნის სიას, კვლავ სათვალეებს მოიმარჯვებს, ჯაჭვს ისწორებს, უნდა წამოდგეს და აუქციონი დაიწყოს, მაგრამ ამ დროს ოთახში კიდე ვიღებიც შემოდიან. ბოჭაული ახლად შემოსულებს გადახედვს, აათვალიერებს და შემდეგ დარაჯს) პორფირე, გეთაყვა, კარი მიხურე, ესე წაღმა - უკუღმა სიარული აღარ შეიძლება... (ჩაახველებს), ჩუმაღ მანდი! პორფირე, უთხარი,

რომ ყველანი ფეხზე წამოდგნენ. (პორფირე ანიშნებს. ბოჭაული წამოდგება, იწყებს კითხვას) „პო უქაზუ“... (გადახედვს, რომ ზოგიერთი კიდეც არ ამდგარაძე თავადებს) აბრძანდით, ზომ გამოგიცხადეს? (გლახების ჯგუფს) აღეჭი, შე ვირის შეილო, შენ? (გაახსენდება) ესენი ნამდვილად დამოუბავენ. სამსახურის შესრულების დროს რასმე წამომადგნენ. (ყველა წამოდგა. სიჩუმე ჩამოვარდა. ბოჭაული იწყებს ოფიციალი ტონით) „პო უქაზუ ელო იმმერატორსკოლო ველიჩესტვა... პრი ნამესტინჩესტვე კავკასკომ, ელო როდე ტიფლისე, პრი უფზნომ სულე ნაზნაჩენი ობჩესტვენი ტორლი ნა პრედმეტ პროდაეი:

„ქსნის ერისთვის რევაზ დავითისძის ყმა დათია სხილაძე, თავის ქვრივი რძლით მარინეთი... შეფასებულია... ტრიდცატ დვა რუბლი სერებრომ“... (პორფირეს) გამოცხადდნენ?

სხილაძეები: აქ გახლავართ, შენი კირიმი?

ბოჭაული (თანაგრძნობს) „ძმათა ფავლენიშვილების ყმები: გობრონ,

ბერუა და დათუნა ზალიკაურები“. გამოცხადდნენ?

ზალიკაურები: —რა უნდათ ჩვენგან რა?

— რა ვაწყენით ჩვენს ბატონსა?

— მთელი ჩვენი ვაჟაკობა მას გადავალეთ.

— ვაი დედასა!

— ააჰ, დაიწყელოს ესეთი წესი და სამართალი!

X.

სასახლე; მისაღები დარბაზი

ხელმწიფის წინაშე დგას თავდაზნაურთა დელეგაცია. გუბერნიის წინამძღოლი (ამთავრებს სიტყვას) ამგვარად თქვენი ჰუმანიტური ხელმწიფობის დროს, როდესაც ერთი და, ჩაგრულის კენესა აღარ მოისმის, ესეთს სანეტარო დროს, ოქროს ეპოქაში, როდესაც თხა და მგელი ერთგანა სძოვს, როდესაც კაცობრიულმა სამართლიანობამ მიაღწია თავის მწვერვალს, დიდებული თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისავე, ჩვენ გვაქვს, იმედი, რომ ჩვენი ზმა, ერთგულთა შენთა, ტურფა საქართველოს ვაჟაკ და რაინდ თავდაზნა-



აზიურ-კავკასიის ხელოვნების ოლიმპიადა

სურათზე: სომხეთის გუნდი (ს. ლისიციანის ხელმძღვანელობით) ასრულებს ცეცხლს „მიწის“.

ფოტო ბუდუშტის.

ურობისა, არ დარჩება ხმათ მღალა-
დებელისა უდაბნოსა შინა...

ხელმწ. (ნამესტნიკს ჩუმად) ოჰ,
რა ფარისეველი ხალხი ყოფილა.
რას აჭიანურებენ ამდენს?

გუბერნიის წინამძღ. ჩვენ ამას
ვერ გავებდავდით, თქვენო დიდებუ-
ლებავ, მაგრამ, ვიმეორებთ გუშინ-
დელმა თქვენმა შეფურმა სიტყვამ
აღვადფრთოვანა.

ხელწ. (შუბლი ეკმუნება) ჰო,
ჰო?

გუბ. წინ. თქვენა ბრძანეთ: რა-
საც კი მთხოვს ჩემი სასიკადალო სა-
ქართველოს თავად - აზნაურობა, ვი-
ძლევით მეფის სიტყვას, შევასრუ-
ლებო!

ხელმწ. ჰო, ვბრძანე. მზათა ვარ,
საქვით!

გუბ. წინ. ჩვენ ის გვინდა, რომ...

ხელმწ. ჰო, ვიცი, ვიცი... (ნამეს-
ტნიკს) ავტონომია...; შეფევი; (ხელს
ჩაიქნევს).

გუბ. წინ. თქვენო უდიდებულე-
სობავ, ის, რასაც ჩვენ ეხლა ვბე-
დავთ და მოგახსენებთ, წარმოადგენს
ჩვენი ქვეყნის არსებით საჭიროებას.

როგორც არწივს გაუჭირდება უკლ-
დებოთ ცხოვრება...

ხელმწ. (ნამესტნიკს) ხომ ვთქვი!
საქმე არწივზე მივარდა... ერთი ნა-
ზიჯი: არწივს თავისუფლება უყ-
ვარს...

ქოსატყ. ირემსა და კანჯარს უტ-
ყოთ მოეწყინება.

ხელმწ. (ნამესტნიკს) ირემი და
კანჯარიც თავისუფლების მოყვარუ-
ლი ცხოველებია.

გუბ. წინ. ისე ძროხებს, ხარებს,
კამეჩებს და... (ხელმწიფე თანდათან
ოცდება), და ჩვენ ხალხს უმარილოთ
არ გაეძლება... ამისათვის გთხოვთ,
ხელმწიფეო...

აზნაურობა; გთხოვთ, გთხოვს;
გუბ. წინ. გთხოვთ, რომ მარილზე
დიდი ბაჟი გახლავთ დადებული
და... შეგვიმციროთ.

ხელმწ. (არაფერი არ გაეგება)
მარილზე? ბაჟი? (მიხვდება. სიცი-
ლისაგან იბერება. აგერ-აგერ წასკ-
დეს, მაგრამ თავს შეიკავებს) სულ
მომიხსნია... (ნამესტნიკს ვითომ ბრძა-
ნებით — დაიხსომეთ, თან დაცინვა-
თაც) მიშენკა!

აზნაურობა. დიდათ გმადლობთ,
ხელმწიფეო, დიდათ!

ხელმწ. (გუბერნიის წინამძღოლს)
მეტი არაფერი? სულ ეს იყო?

გუბ. წინ. ეს ცოტა გახლავთ,
ხელმწიფეო? მე სულ შიშისაგან მა-
თათახებდა...

ხელმწ. (ნამესტნიკს) მეც მათაბ-
თახებდა...

გუბ. წინ. რომ არ განრისხებუ-
ლიყავით, თქვენო დიდებულებავ...

ხელმწ. როგორ? გაბელსათვია?
თქვენ ხომ იცით, რომ იტალიასა და
საფრანგეთში მარილის ბაჟს გაბე-
ლას ეძახოდნენ... (მეტი ხუმრობით,
შინაურულად) მაშ თქვენ გაბელაზე
ამბობთ? (თითხ წაჭკრავს მუცელში)
ოჰ, თქვე გაბელა - კნიაზო თქვენა!
(ორივენი, ხელმწიფეცა და გუბერნი-
ის წინამძღოლიც ბედნიერნი ხარხა-
რებენ) ოჰ, კარგია, როცა ყველაფე-
რი კარგათ გათავდება! (მიბრუნდე-
ბა, ცოტა უზრდელათ) მშვიდობით,
ბატონებო!

(და ამის შემდეგ ზურგ - შექცე-
ული იყო რუსეთის იმპერატორი).



ბუხართან მე და შალიკო ვზივართ. აკაცის ტოტები ტაცა ტაცით იწვის და ჩვენ სიამოვნებით ვიშრობთ დასველებულ ფეხებს. გარეთ თქორია და მთელი დღეა სულ ასე წვრილათ წვიმს. ღრუბელი ძალიან დაბლაა ჩამოწოლილი და ამ დაცემულ ვაკეზე დგას გაუვალი ქენჭები. გარშემო გვარტყია ფოთოლ გაცვენილი აჩონჩხილი ჯაგნარი და მათ ტოტებიდან ხან გამოვვებით სცვივა მსხვილი წვეთები. ყველაფერი გაჟღენთილია ნესტით. ეზოში, ფანქრით ნახაზ სილუეტებით დგას ბებერი ვაშლის ხე და იმის ერთ ტოტზე მოჩანს მიმხმარი ვაშლი. დაკვარჩხულ ბებერ ტოტებიდან და მიმხმარ ნაყოფიდანაც სცვივიან წვეთები.

ცა უფრო ჩამოხნულა, მაგრამ ოთახში თითქო იმატა სინათლემ. ეს იმას ნიშნავს, რომ ღამდება,

მე და შალიკო ჩუმად ვზივართ და შალიკო წამ და უწუმ უჩიკინებს ბუხარს. ხან წამოაწვენს წვრილ ტოტებს, მოქექავს ნალვერდალს, დააწყობს და როგორც კი ფიჩხი დანთებას დააპირებს, ისევ ააყუდებს, ისევ მოქექავს და ამგვარათ ირთობს თავს.

ბნელდება.

ოთახში ანდრია შემოვიდა.

— რა შევებით, რავა ხართ?

— მობრძანდი, ანდრია, დაჯექი აი აგერ.

— ბრძანდებოდეთ, თქვენ ბძანდებოდეთ, თქვენ ნასწავლი ხალხი ხართ. კაია სწავლა. მე არაფერი მიშავს.

ანდრია ამ ოჯახში უფროსი ძმაა. **იმბეცილი.** ამიტომაც რომ მას სოფლად ყველა მასხარათ იღებს და არც ოჯახში სცემენ დიდ პატივს. პატარა ტანისაა და ამ დაძონძილ ტანსაც-

მელში თავისი მოკლე ხელფეხით ის ჰგავს ქინქლიან ობობას. ნიკაპი ცხვირზე აქვს მიდგმული და მათ შორის გამოჩნდება გრძელი რამოდენიმე ღერი ულვაში.

— კაია სწავლა, კაია—განაგრძობს ანდრია—მეც ქე ვსწავლობდი ბოვ-შობისას. მამაჩემმა დიაკონს მიმაბარა შეგირდათ. მეგონა, დიაკონობას ვისწავლიდით თქვა, მარა ერთხელ ღვედელმა გამლახა სეფისკვერის შეჭმიზა და იმიზა დავანებე თავი. სახლში გამევიქეცი. წერა? წერა არ უსწავლებია, მარტო ანბანი მასწავლა ზეპირათ. ახლაც ქე მახსოვს, ანო, ბანო, განო, დონო, ვინო, ზენო, ინო, კარო, ლასო, მანო, ნარო, ონო, პარო, ჟინო, რაე, სარო, ტარო, ენო... ჰაე და ფიტა.

— ჰო მაგრამ მეტი არაფერი? მარტო მაგ ვასწავლა?—ეკითხება შალიკო—წერა არ უსწავლებია.



ამირ-კავკასიის ხელოვნების ოლიმპიად.

სურათზე: სომხეთის გუნდი (პოლისიტიანის ხელმძღვანელობით) ასრულებს ცეცხლს „კოჩარი“.

ფოტო ბუდუშტის.

— არა წერა არ უსწავლობია, გა მოვექეცი და რაღას მასწავლიდა. ლოცვები ქე მასწავლა „მამაო ჩვენი“ და „ღირს არს ქეშმარიტათ“ იგი ახლაც ქე ვიცი.

ანდრიაჲ ხელები მიუშვირა ცეცხლს და შემდეგ ილღია მოიქეჭა. შალიკომ მხიარულად მოკუტა თვალები და ომილით კითხა ანდრიას.

— ერთი ეს მითხარი, ცოლშვილს რატომ არ მოეკიდე ანდრია?

— ვერ გავბედე ბიჭო. ცოლშვილობას დიდი წენი უნდა. ერთხელ ქე მეძლეოდა ხუთ თუმნანი ქალი, მარა რო დავეჯექი და ვიანგარიშე, ერთი შვილის გამოზრდას ოც წლამდე ასი თუმანი დაჭირდა, ხო და იმ ქალის მოყოლილი ხუთი თუმანი რას მიშველიდა. შვილი მერე შეიძლება ხუთიც ქე მყოლოდა. ქალიშვილი თუ მეყოლებოდა იმას კიდო გვზითი დაჭირდებოდა და ეს იანგარიშე ახლა შენ. მერე ბიჭო და ქე მეშინოდა ქალის. იჭნება ვერ მევეროი თქვა და ქე დავანებე თავი.

— ჰო მაგრამ როგორ ძლებდი. სისხლი არ გიღუღლა?—ეკითხება შალიკო.

— იი ბიჭო შეროული ვერ გაძლებს, თვარა შეუწოველი ქე გაძლებს.

— შენ როგორ? სულ არ იცი არაფერი?

— აჰ! არა. ერთხელ ბიჭო სალდათში რო დამიბარეს ქუთეიში, მაშინ გამანთავისუფლეს სალდათიდან და უკან რო მოვდიოდი, რიონის პირზე იდგა მაშინ... ხო და ბიჭებმა მითხრეს რო ანდრია ხო არ გინდა ქალთან დაწოლაო მე მაშინ ბოვშთ ვიყავი და ქე შემინდა გუნებაში, მარა თვრამეტი შაურის ძეტი არ მქონდა ჯიბეში და მანათ ნაკლებს არაფრით არ დამჯერდენ. ვერგეწე დამჯერდით თვრამეტ შაურსთქვა, მარა არაფერი ვამოვიდა. აქიდან რო მივდიოდი ქე მქონდა მანათი ჯიბეში მარა იქიდან დაბრუნებისას თეთრ ხიდესთან ვიყიდე ოყა პური ცხრა კაპიკათ და იი შევჭამე, ასე რო თვრამეტი შაური და ერთი კაპიკი დამრჩა ჯიბეში და იმიზა დამაკდა ი ორი შაური კი არა ცხრა კაპიკი.

— ოყა პური რამ შეგაქამა.

— ხი! ხი! მაი რაა. მეორე დღეს რო მივედი, ვიყიდე ოყა პური და შევჭამე, მეპურემ მითხრა, რო ბარაქალა შენ ბიჭობას ოყა პური შეჭამეო. თუ კიდო ერთ ოყა პურს შეჭამ ნიძლავზე შენი ფული არ მინდაო. მე ვუთხარი სირცხვილია ბიჭო შენი პური უფასოთ ვჭამოთქვა. ნუ გეშინიაო მითხრა, შენ თუ შეჭამ, შენი ფული არ მინდაო და თუ ვერ მეერევი, მაშინ ფული გედიხადეო, კაი თქვა და ავაწონიე თბილი პური, თბილი პური ხო იცი ცოტას იწონის, მარა იმას ოყას მაგიერათ ოთხი გირვანქა ეწონა, მე კი არ ვიცოდი მაი, მერე მითხრა ჰო და დავადექი და ქე შევჭამე მეორე ოყა პური. მეპურე გედიხარა ქალათ და მითხრა რო თუ შენ კიდო ერთ გირვანქა პურს შეჭამ ხუთ მანათს მოგცემო თუ არა და შენ გედიხადეო. მე ვუთხარი სირცხვილია ბიჭო შენი პური ავაწონიე კიდო ერთი გირვანქა პური და იგი ვუთხარი კიდო რო ერთი სტაქანი წყლის დაღვეის ნება მამეცი თქვა. კარგიო მითხრა ხო და დავადექი და ქე შევჭამე ი ერთი გირვანქაც. ხი! ხი! ხი! მერე ვუთხარი ხუთ მანეთზე რავა ხარ თქო მარა იმან ეილო და დანა დამჭრა ბეჭზე და ქე დამჭრა. მერე წამევედი და მამაჩემმა სულში უჩივლა ბიჭო და იი ხუთი მანეთი ქე გადახდევინა. ი ხუთ მანათათ მაშინ კაი ჩიხა ვიყიდე და აზიაცები და ქე გამეწეწევათ. ე! მაშინ იყო რო მეძლეოდა ი ხუთ თუმნანი ქალი, მარა ვერ გავბედე თხოვა და ქე დავრჩი მას მერე უქალოთ. მაგაზე მაშინ ლექსიც ქე გამოვთქვი ასე ჩემით: ცოლშვილობას მირჩევნია ერთ მარტვანე ყოფა თქვა

ვინაც ცოლშვილს ეკიდება

ღამე სიტკბილემია მარა დღეი სიმწარეში ღდება თქვა

ერთი შვილის გამოზრდა ასი თუმანი ჯდება თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

მერე გვზითი დაჭირდება გათხოვება იმას თქვა

ოყა პური მირჩევნია მუცლის გამოძიობა თქვა.

— ბიჭოს! შენ პოეტი ყოფილხარ

— ეხუმრა შალიკო—

— პოეტი რაია არ ვიცი

— დაწერე მაგ ლექსი თუ...

— არა არ დამიწერია. წერა არ ვიცი. ისე ზეპირათ გამოვთქვი. წერა არ ვიცოდი თვარა კიდო ქე დავწერდი ბევრს.

— მაშ ვერ გაბედე ვერა ჰა?—

ეკითხება ისევ შალიკო.

— არა აჰ! შემეშინდა ბიჭო თვარა ქე გავბედავდი. რო გაეჩერდი და ვიფიქრე ამ თვრამეტი შაურით ათჯერ გამოვძლებოდი თეთრი პურით თქვა და აი ერთხელ ამისთანა საქმის გულიზა რავა დავლუპოთქვა და ქე დავრჩი. ახლა ქე ვარ ჩემთვის ისე და ქე ვმუშაობ პატ-პატარას.

ქე ვარ ახლა კაი ორმოცდათვრამეტი წლის ასე მეურნეობა დიაჩემი.


ბუხარი ჩაიფერფლა. ფანჯარა სრულიათ ჩაბნელდა და აღარა ჩანს ვაშლის ხე გამხმარი ნაყოფით. მხოლოდ წვეთების წკაპა წკუპი ისმის და ხან და ხან ჩვენ იატაკ ქვეშ შეყუჟული ბატები აყაყანდებიან ხოლმე უცბათ, თითქო რალაცხეთ ყველას ერთათ მოსვლოდეთ გული.

— რა ამბავია ჩხუბი ხომ არ მოსდით—ვიკითხე მე.

— არაფერი. მაგათ აგრე იციან—

ამბობს ანდრია.

სამივენი გაეჭმდით. ოთახში ბნელა, მხოლოდ ბუხრის ნაკვერცხლები გვინათებს სამივეს სახეს და ანდრია უცნაურათ ანძრევს ნიკაპსა და ცხვირს შორის გამოჩრილ უღვაშებს.



ბუხარი — კიკეთი



დიდსა დარბაზში ძველი თავრიდის,
ჩუმათ გაშართა მთავრობამ ბჭობა!
და ერთი ამბობს არას დამრდი,
— „ჩვენ მოლაპარაკებამ გვაჯობა!
— „თავიდან მარცხი, რომ ავიცდნოთ,
ეს ხმები უნდა დაფაროთ ჩაღბში!
ლამაჲს სირცხვილის ოფლი ვადინოთ;
და დავამცირით ქვეყნისა თვალში“
დასტური დასცეს: „უყუთესია
ეს მოფიქრება ვიცინებთ ცხარეთი
თავს გაიმართლებს, როგორც წესია,
მოვა დავიჭერთ და გავიხარებთ!
თივისა ქოხში ქალაქის გარეთ,
ბელადთან ბჭობენ ამხანაგები.
— „არ შეშვედრია“, ამბობს მწუნარეთ,
„გზებზე ასეთი გესვლით ნაკები“
— „რა გქნა, რას მირჩევთ? სიტყვა
„დალაბი“

ჩემთვის როგორი მოსასმენია?
თუნდაც მიცდიდეს იქვე ჯალათი,
უნდა გავიდე ეს-ლა მთენიან“
— „უნდა გახვიდე“ დაუდასტურეს,
ამხანაგებმა მწარე მოწყენით!
საქალაქის კაბი ჩუმად უყურებს,
ყელს ებჯინება გული მოთმენით!
უცებ შესძახა: „თქვენ ხართ შემცდარი!
არ შეიძლება ბელადის გასვლა!
მტრის ჩაუვარდით, როგორც ლაჩარი,
ეს არის ჩვენი მიზნისკენ წასვლა?“
მტრის ონებე ვის არ უცდა,
და როცა ვიწუხებთ ბრძოლას გადამწყვეტს!
გსურთ თავი მოსკრათ რევოლუციას;
და დაამზავსოთ ქარის მონაწყვეტის?“
ყველა მას შესცქერს გარინდებულო,
ბმელადმა ქოხში იწყო მომოსვლა!
ბოლოს შეჩერდა დამშვიდებულად,
და სიტყვა: — „საქარათ ბრძოლით
გამოსვლა“

ნეტაც ეს ქარი საიდან ღელავს,
რომელი კუთხის მონაბერია?
ბმელადს ზღმა გული მეტადში უღელავს,
დღეს გადამწყვეტი ოქტომბერია.
მუშათა ჯარი მისი დამფრეო,
წითელ დროშებით, ჰეიუზ, ქალიშობი,
შუჩებს მოედვა, როგორც ლანქერი,
ჩახშახ ამდგარი თოფი გაწვდილით!
კერუნსკი გარბის უკან მიყვება,
ვინაც დროებით დაისადგურა!
ახალ ცხოვრების ხანა იწყება,
ძველი მახვილმა გაანადგურა!
მუქათხორები წელში მოდრიკა
შიშმა და თავზე დაეხსათ რეტი
„მოწა გლეხებს და მუშებს ფაბრიკა,
მსწრაფელ გადაცემს“ ბრძანებს დეკრეტი!
რა შემოსმა უცხო ამბავი,
ევროპასა და შორე აზიას,
იქაურ მძარცველთ ასტიკვდათ თავი,
შველა დაპირდნენ ბურჟუაზიას!
თეთრი ბანაკი გადარიგა
ლომით დაქრს მტრების გამფლენი!
დენიკინ, კოლჩაკ, ვრანგელი და სხვა,
უცხო და თვისი მონა ჯარებით,
მუშის კოჟრიან ხელმა გადახსლა,
ძირს დაანარცხა გულმოგერებით!
გამარჯვებულა ჰეიუზის საყვირი,
მტერთა მოისმის წყევლისა როშვა!
ჯიბის რაინდებს წაუხდათ ნარი,
და აფრიალდა საბჭოთა დროშა!
კაცი მაშვრალი შეიქნა დევი,
გამართა წელი, მოიხსნა ლახტი!
შრომამ მიიღო ნაშაგვევი,
დაისაკუთრა სახალე, ტახტი!
და უწინდელი რუსეთი ბნელი,
რესპუბლიკების იქცა კავშირათ!
სხვადასხვა ტომის ხალხი მშრომელი,
საერთო საქმემ შეაკავშირა!
ბმელადი ამბობს „მტერი ამდგარი,

ჩვენ მოვგერეთ, ვიჩინეთ ძალა!
სამილა დაგვჩრა ეხლა ანგარი,
ის არის ჩვენი შხამი სამხალა!
პირველი მტერი, საქმის წამდენი,
კომუნისტობით მიდიდურობა!
მეორე, — ქრთამი ყალბის ჩამდენი!
მესამე, — წერაკითხვის არ ცნობა!
ეგ სამი მტერი უნდა წავშალოთ,
რომ ახალ ჰეიუზის აღსდგეს შენება!
და ერთი მიზნით მტკიცეთ გავშალოთ,
კომუნისტური ქვეყნის შენება!
მიწამ მზისაკენ იბრუნა პირი,
გამთბარი მეტრად ააყვარალა!
ისმის სიმღერა, ტაში, საყვირი,
შრომა სიამემ გაიადვილა!
რა ლამაზია ეს გაზაფხული,
რა სხვანაირათ ფრინავს მზეწვია!
თავისუფლება მზით მოქარგული,
მიწას პირველათ სტუმრათ ეწვია!
შუაგულ ზღვაში სალი კლდე მოსკდა,
წყალმა ზვირთები აჰყარა ცაში
აქ გაყვირან: „ბმელადი მოკვდა!
ჩვენი აღდგენის შრომა და ცდაში“.
ხალხმა მშრომელმა ამოიკვნესა,
და წამოხტა თვალთმავს ღვარი!
უკანასკნელად ცამ დაიკცხა,
გადიარა შუქისა კარი!

სოფელი გორაკს მოვერცხლოდ ტყეში,
თეთრი სახლია ცრემლში ჩამდგარი!
ხალხი იქ მირბის ყინვა და თქეშში
ყველას გული აქვს ბოლმით გამთბარი!
სიკვდილმა ტახტზე იქ ასვენია,
დღივ ბელადის ცოვი სხეული!
ლენინს პირველათ დაუსვენია,
აზრთა კიდეში მუდამ რჩეული!
და ძმას დაძებებს ცხედრის ოთხში,
სავარძელში კი ცოლი მწუნარე,
რა მეხმაც იაპკრა შრომის ოჯახში
გაფითრებული, ფიქრობს მდუმარე!
ამა, მოდიან ამხანაგები,
მათი გამომჩნა ფოლადის კაბი!
მათ ბრძოლები აქეთ არ წანაგები,
სახეზე აზით წუხილი მკაცრი!

სამგლოვიარო კივილით იძვრის,
შოსკოვსაკენ მატარებელი!
გზა და გზა თვალი ცრემლებს გაისვრის,
შრომის შორდება გამლადებელი!
ჩამოსვენებს და ათასობით
დროშებმა მის წინ თავი დახარა!
სიკვდილმა გულზე ბრწყალის დასობით,
მთელი ქალაქი კარში გაჰყარა!
კავშირთა სახლი ალისფრათ ელავს,
დიდსა დარბაზში კუბო ჩამოდგეს!
ოქტომბრის ქარი ცხედარზე დელავს,
ფიქრობს: იქნება ფეხზე წამოდგეს!
ჩაქრა მემობა ნათელი გმირი,
აღსდგა გლოვა და დაბნეულობა!
მტერთა სისინი გულგახაგმითი,
სიცარიელე და ეულობა!

სიტყვა: „სიტყვა მოხოვეს, რომ ვალდარიო“
ყველამ იმისკენ მიმართა პირი
და გულის ცემამ მატება იწყა!
ხელში აიღო წითელი წკირი,
აღდა და ფიცით აგრი დაიწყა:
ფიცნი:

„ასახანაგებო, თუმცა აცვია გულის გლოვის
ფლასი,
გვახსოვდეს: დიდი სტრატეგისა, რომ ვართ
არმია!
და ჩვენ შევადგენთ უძლეველი მუშათა
კლასის,
ბრძოლის ქარ-ცეცხლში ჩამოსხმულს და
ნაჭედს პარტიას!

ლენინ არა გვაყავს ჩამოგვმოდა დიდი
ოქტომბრის —
რევოლუციის შემომქმედი, მესაქე, ლერძი!
ჩვენ დაჩვეულნი ელვა, მქეის მუდამ
სტუმრობის,
გულს ნუ გავიტებთ შევასრულოთ მისი
ანდერძი!

მან დაგვიბარა: შევინახოთ პარტი
ლირსებით,
მისი პარტიის საამაჲო წევრის სახელი!
აქ დავიფიცოთ ჩვენი რწმენის ძალა,
თვისებით,
რომ ჩვენ ვიქნებით ამ ლირსების
გამომსახველი!
ლენინ წავიდა! და ანდერძათ მან

დაგვიბარა:
ჩვენი პარტიის მთლიანობა იყოს დაცული!
ლენინ, ფიცსა სდებს ჩვენი გულის
გულის
წყლული, იარა,
ჩვენგან იქნება აღთქმა შენი შესრულებული!
ლენინ წავიდა! ბედმა გლოვა

დაგვიდასტურა,
მაგრამ ჩვენა ვართ მისი მცნებით
გულგანამტკიცია
პროლეტარული განმტკიცება ცალავ
დიქტატურა,
ამხანაგებო, აქვე დავსდგათ ჩვენ ამის ფიცო!
ლენინ წავიდა! დაგვიბარა: გახსოვდეთ
უნდა განმტკიცდეს მუშათა და გლეხთა

მცნება:
მცნობი!
ლენინ, ფიცსათვის ერთი გრძნობით გული
გვეგზნება,
რომ ჩვენ ვიქნებით შენი აღთქმის გუშაგი,
გზირი!

ლენინ წავიდა! დაგვიბარა: უნდა
გა ნმტკიცდეს,
რესპუბლიკების კავშირი და მათ შორის
ძმობა!
ლენინ, ფიცსულობა ჩვენ გვექნება
დაცული მტკიცეთ,
სახელმწიფოსი შენეზური მართვა და

წყობა!
ლენინ წავიდა! დაგვიბარა: არ უღალატოთ,
ინტერნაციონალის კომუნისტურს და მის
პრინციპებს!
მშრომელთა შუღლით მტერი ჩვენი ვერ
გაიცინებს!
ლენინ წავიდა! დაგვიბარა: მაგრად
საზღვარი,
წითელ არმიის განამტკიცეთ ძალა,

ლენინ, ფიცსულობით, ისე გავწერთათ
წითელი ჯარი,
რომ არც ერთს ძალას არ შეეძლოს ჩვენი
დაპყრობა!“

იმედ მოსილი ფიქრობს ყრობათ:
— „ვიინ გავიძლევა უკეთ ვიდრე ეს?
არ უზმარია ბედს გულგრილობა,
ბელადის ნაცვლად ვხედავთ მემკვიდრეს!“
დოლა, ისმის შორიდან: „სმენა!“
ორკესტრი უკრავს სამგლოვიაროს!
ყველან ცრემლები, გლოვა, მოწყენა,
ცხედარმა უნდა გამოიაროს!

მოსვენებენ, მოსდევს ზღვაური,
ხალხი, დროშები, სიმთა გოდება!
სიკვდილი ფიქრობს: ასეთ ხმაურით,
კაცის წაყვანა არ მაგონდება!
წითელ მოედანს უახლოვდება,
ეს პროცესია ჯერ არ ნახული!
აქ უნდა იქნეს ხალხის დიდება,
გზავნებული და დაკრძალული!
აქლადამსაკენ, როცა დაეშვა,
კუბომ ფმატა გულებს ტკივილი!
ძირს შეექვსედეშ შრომამ აუშვა,
გულგაფრებული ობლის კვილი!

ლაშქრება ხალხი გაშეშებული,
ხედავს და მოედანს აღარ შორდება!
მუსიკა კვნის აცრემლებული,
რასთვის სიცოცხლე არ მეორდება?!
ფოლადის ქაღალდი გულგაბასრული,
აცხადებს: — „მტრებმა, რომ არ გაჯობონ!
მთელი ძალ-ღონით ერთად აღძრული,
მიწა და წყალი შრომით დავჯარგოთ!“
მოსახლეობა აყვავდა კრელი,
ხად არ შეივოდა წინათ მამალი!
ყველგან გაიბა სკოლების ქსელი,
და ქალაქებათ იქცა ტრამალი!
ძველი რუსეთი წვრილ მესაკუთრე,
გახდა ქვეყანა კოლექტიური!
და მანქანებმა ყოველსა კუთხეს,
გაუადვილეს შრომა დღიური!

ცეცხლი შეუწოთ უმოქმედობას,
ამოძრავა ყველა ზანტები!
ბუნებას იპყრობს შრომის ქმედობა,
წამოაყენა ბრგი გიგანტები!
სადაც კი რამე თვალში აოღო,
გადასხვაფერდა იქ ყველაფერი!
ვინც სხვისი ოფლით კუჭი გაიძლო,
გაადგებინა ხელში ლაფერი!
მიწას გულიდან ამოახეთქა,
ნაირნაირი განძი, მადანი
რაც ხალხს ზღაპრული ამბავი ეთქვა,
გადააქცია ყველა მართალი!
ზღვა ზღვას ახეთქა და შეაქცია,
მდინარეებზე აუშვა შუქი!
ბრძენი, ოსტატი, მძლე ვაჟაკია,
მტრებს გადასტყორცნა სიტყვა, ქარ-ბუქი!

რა შეუსრულა ბელადს სურვილი,
მისი ზრახვანი საქმეთ აქცია!
მონათ ქვეყანა, ისლით ბურვილი,
რკინათ, ფოლადად გადააქცია!
მან მეჩვიდმეტეს უთხოვა ყრბილობას,
გელადის სსოვნის ათი წელიწადი
რაც შეუქმნია მის გარდასტყორცნას,
რაც გადალახა ეკლიან გზაზე!
მადლობის ნიშნათ ფეხზე დამდგარი
შესძახებს: „შენ ხაზ ჩვენი გელადი!
შენ, ავგაცოლე აზრები მცდარი,
შენ, მიეც შრომას ცოდნა ფერადი!“
— „შენით გვაქვს ძალა და სამართალი,
მტრმა ვერ გვნახოს გამოქცეული!
ჩვენ, — ჯარისკაცი. შენ კი — სარდალი.

მე მ ე ნ ი ზ ც ე ნ ი ზ — თ ზ ბ ა ბ ი

(ალ. წუწუნავას იუბილეის გამო)

ალექსანდრე რაქვინისძე წუწუნა-
ნავა დაიბადა 1881 წელს ქ. ოზურ-
გეთში, იქვე დაამთავრა სამოქალაქო
სკოლა და შეუდგა სასცენო მოღვა-
წეობას. 1896 წლიდან წუწუნა-
ნა მონაწილეობას ღებულობდა ივ. გო-
მელაურის, გ. ცენტრიაძის და კ.
გოგოლაძის მიერ გამართულ წარმო-
დგენებში. 1896 წლიდან კი შეუდგა
მუშაობას ავქალის აუდიტორიის
სცენაზე, სადაც იგი გამოდიოდა
პატარ-პარატა როლებში. შემდეგ
თანამშრომლობდა ვ. ურუშაძესთან
და მასთან ერთად მართავდა წარმო-
დგენებს გურიაში. 1901 წ. ჩაეწერა
ვლ. ალექსი-მესხიშვილის დასში
(თვეში 15 მანეთად), მაგრამ ჩქარა
სამხედრო ბეგარამ მოუწია და იძუ-
ლებული გახდა სცენისათვის თავი მი-
ენებებია. ჩქარა ჩვენი იუბილარი
ჯარში გაწვევის მაგიერ, მეფის მთა-
ვრობამ დააბათილა „კრამოლნიკო-
ბისა“ და რევოლუციონური მუშაო-
ბისათვის.

1905 წელს დასაწყისში წუწუნა-
ნა საპრობილედან გაანთავისუფლეს.
იგი ჩქარა გაემგზავრა მოსკოვში და
შევიდა სასწავლებლად სტანისლავს-
კისა და მეიერხოლდის სტუდიაში.
ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი სტუდენ-
ტი კვლავ შეიპყრეს მოსკოვის ქარ-
თული რევოლუციონური რაზმის
წევრობისათვის. (ამ რაზმის მეთაუ-
რი იყო ვ. არაბიძე, ხოლო დამაარ-
სებელი — აშხ. კრასინი. რაზმს მინ-
დობილი ჰქონდა ბოლშევიკური აღ-
მასკომის ხალაროსა და არსენალის
დაცვა მაქსიმ გორკის ბინაზე). იმა-
ვე წელს ალ. წუწუნა-ნა მოსკოვიდან
გამოიქცა საქართველოში და ბა-
თუმს შეეხიზნა. აქ მან დაიწყო წარ-
მოდგენების გამართვა. ბათუმში.
მისი რედაქტორობით დაარსდა რუსუ-
ლი სოც.-დემოკრატიული გაზეთი
„პლამია“, რომელიც მალე დახურა
მთავრობამ.

შემდეგ წელიწადს აშხ. წუწუნა-
ნა შევიდა მოსკოვის სამხატვრო თეატ-
რის სარეჟისორო კურსებზე, სადაც
3 წელიწადი დარჩა.
დაბრუნებისას, 1909 წელს მისი
რეჟისორობით ქართულ სცენაზე

პირველად დადგეს დაანუნციოს პიე-
სა „იორიოს ასული“, რითაც დამ-
დგმელმა საზოგადოებისა და პრესის
მთელი ყურადღება მიიქცია, რო-
გორც ნიჭიერმა და მხატვრული აღ-
ლოს მქონე რეჟისორმა. 1910 წელს



სახალხო მსახიობი ალ. წუწუნა-ნა.

მან მუშაობა დაიწყო ჭიათურის თეატრში, ხოლო 1911-დან 1914 წლამდე რეჟისორობდა სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა წრეს. მის მიერ დადგმული წარმოდგენები განიზრგოდა მაღალი მხატვრული დონის მატარებელი და ანსამბლის კოლექტიური შემადგენლობით. ალ. წუწუნავამ პირველად უჩვენა ქართველ მშრომელ მაყურებელს მაღალი თეატრალური კულტურით გაჯენილი სპექტაკლები.

1917 წელს ალექ. წუწუნავას რეჟისორობით პირველად საქართველოში გადაღებულ იქნა კინოსურათი — „ქრისტინე“.

ალ. წუწუნავა ქართული ოპერების პირველი დამდგმელიცაა. მისი

რეჟისორობით პირველად დასდგეს — „აბესალომ და ეთერი“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“, „ქეთო და კოტე“, „ლალატი“, „ლეილა“, „ცისანა“, და სხ.

კინო-ფილმებიდან მისი დადგმულია — „ვინ არის დამნაშავე“, „ხანუმა“, „ორი მონადირე“, „ჯანყი გურიში“, და სხვ.

ალ. წუწუნავას მიერ დადგმულ პიესებს, თვითნებ მის მიერ გაფორმებულ დრამას, თუ კომედიას გარკვეული იდეური მიზანდასახულობა და დიდი მუშაობის კვალი აჩნდა. ჩვენი მშრომელი ხალხის ჩაგვრა და თავისუფლებისათვის ბრძოლა, მშრომელი მოსახლეობის გათვითცნობი-

რება და თვითმპყრობელობის მძიმე ბოროტებები („მუშაობლები“), მიწის მთავრობის მათრახები და გლეხობის გამოფხიზლება („მსხვერპლი“), ქართველ „ბრწყინვალეთა“ ფუჭი ვატობა და გათახსირება („რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში“), „აშენ-და საქართველო“, კაპიტალიზმის გაძლიერების და ფეოდალური წყობის ტრადიცია („იმედის დაღუპვა“) ყველაფერი ეს ისეთ ხაზებში და ისეთი ფერებით გვიჩვენა ჩვენი სცენის ოსტატმა — ალ. წუწუნავამ, რომ მაყურებელს არასოდეს დაავიწყდება მისი შემოქმედებითი ცეცხლით გამთბარი წარმოდგენები.

ა. ქუთათელის „პირისპირის“ შესახებ

ალ. ნელაქას წერილი

ალ. ქუთათელი მრავალფეროვანი მწერალია. პოეტი, დრამატურგი, ბელეტრისტი. ავტორი ფართო საზოგადოებისათვის უცნობი, მაგრამ საინტერესო პიესისა „შუალამემ გადაიარა“. საკმაო ხანია რაც მუშაობს პროზაში. წინანდელ მოთხრობებში უმთავრესად ხატავდა იმერეთის სინამდვილიდან დეკლასიური ადამიანების, ზონის ბირჟის, წვრილ ფეხა საქმოსნებს.

ეს მოთხრობები კოლორიტიანი და სატირული მოთხრობები იყო. პატარა მოთხრობებიდან ალ. ქუთათელი შემდეგ გადავიდა მოზრდილ მხატვრულ ტილოზე ასეთია სწორედ ამ შემთხვევაში მისი ტრილოგიის პირველი წიგნი „პირისპირი“.

ეს რომანი მრავალ მხრივ საყურადღებო ნაწარმოებია. უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ის პირველი ნაწარმოებია, რომელიც ეხება ჩვენს მხარეში წარმოებული სამოქალაქო ომის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მომენტებს და ამბებს. იგი პირველი სიტყვაა მხატვრულად ამიერ-კავკასიის სამოქალაქო ომის ისტორიიდან. ამ თემატიკაზე მუშაობისა და მისი მხატვრულად ასახვის საქმეში ალ. ქუთათელი უსათუოდ პიონერია.

რომანის აქტუალობას განსაკუთრებულად ამახვილებს მისი სატირული ხასიათიც. მწერლის ეს სატირა ამ შემთხვევაში ერთგვარი ხერხია ამ სპეციფიური მასალის მეტი სიმახვილით მოკვებისათვის. მით უმეტეს როცა ამ ნაწარმოების თემაა ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში მენშევიკებისა და სხვა ათასგვარი

პარტიების რევოლუციასთან დამოკიდებულების ჩვენება. მათ პოლიტიკურ - კლასიური უბადრუკობას დანახვა.

ალ. ქუთათელს ამ რომანით ერთხელ კიდევ გამოყავს ისტორიის სამსჯავროზე ის ხალხი, ვინც თავისი დონეობით გამბედაობით კონტრ-რევოლუციონერობით, გამყიდველობით და ფლიდობით — შორს იდგა ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის ინტერესებისაგან.

ეს წიგნი ვაკცხვავა, იმ კლასებისა და პარტიების, ვინც „ქართული სოციალიზმის“ სახელით კონტრ-რევოლუციონერ საქმეს აკეთებდნენ, შეკრეს ანტისამშობოთა კოალიცია შეძლებული კლასებისაგან და ხელს უწყობდნენ კონტრრევოლუციის გამარჯვებას. ამიერ-კავკასია კერძოთ საქართველო გადაქციეს ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების სათარეშო მოედნად.

ამიერ-კავკასიის ხალხთა ისტორიაში 17—18 და შემდეგ წლების ამბები სამოქალაქო ომების მრავალფეროვანი და სისხლიანი ბრძოლები წლებია. ამ წლების საილიუსტრაციო ცდას იძლევა თავისი რომანი ალ. ქუთათელი. რომანი თავის დიდ ნაწილში ფაქტიურ მასალას ემყარება, დოკუმენტალურ ხასიათს ატარებს, ამიტომ სწორედ ავტორი ვერ ღალატობს ზოგიერთ ისტორიულ ამბების სიზუსტით გადმოცემას, ისტორიული, ნამდვილი პიროვნებების გამოხატვას. თუმცა ავტორი ამ პიროვნებებს არ ხატავს რელიგიურად და სისრულით, არამედ სილიუეტურად, რამდენადაც ეს მას ესაჭი-

რობდა დიდი კოლიზიების საჩვენებლად.

ა. ქუთათელის „პირისპირი“ უსათუოდ ერთგვარი პასუხია იმ ხალხის მიმართ, ვინც ერთი მხრივ სისხლიან კონტრრევოლუციურ საქმეს აკეთებდა, ჯალათურად უსწორდებოდა რევოლუციონერ მუშებს და გლეხებს, მეორე მხრივ ამტკიცებდა მშვიდობიანი სოციალიზმის იდეას, იმას, თითქმის არავითარ სამოქალაქო ომს არ ქონდა ადგილი ჩვენში, რომ თითქმის მათი გამჭირაობის წყალობით ჩვენში რევოლუცია უსისხლოდ და მშვიდობიანად ჩატარდა.

ვინ ამტკიცებდნენ ამ სიყალბეს? რასაკვირველია 1917—18 წლების ანტისამშობოთა კოალიციის ორგანიზატორები. ამიერ-კავკასიის შეძლებული კლასების, ბეგებისა და ხანების, ბურჟუებისა და თავადების დამქაშები — მენშევიკები, მათი ამჟამად ამჟამოლი ნაცარქექია ინტელიგენტები.

ასე, მაგალითად, ერთი ცნობილი ქართველი პუბლიცისტი „ქართველი განათლებული და ზომიერი საზოგადოების სახელით ამ წლებში სწერდა: „სამოქალაქო ომს ნიადაგი არა აქვს საქართველოს მიწა - წყალზე... ქართველმა ხალხმა ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას იმ სამოქალაქო ომში, რომელსაც რუსეთი აწარმოებდა“. მენშევიკებისა და ნაციონალისტების მიერ ასეთი მოსაზრების მტკიცება იყო ნამდვილი გოტენტოტური ფილოსოფია, ვინაიდან იმას, რაც რუსეთში ხდებოდა სამოქალაქო ომს უწოდებდნენ და ბრალს სდებდნენ ამაში ბოლშევიკებს, მაგრამ იმას რასაც თავად ჩადიდდნენ მუშე-



ფრანგი მეცნიერები სტუმრად მოსკოვში

• • •

ბისა და გლეხების წინააღმდეგ, რომლებიც უარს აცხადებდნენ ასეთ მშვიდობიან რევოლუციაზე და აჯანყებებს აწყობდნენ მაინც მშვიდობიან რევოლუციას უწოდებდნენ.

სწორედ ასეთი თვალთმაქცობის ნიღაბით მათ ცეცხლი და მახვილით გაუსწორდნენ აგრარულ ნიადაგზე აჯანყებულ გლეხებს, ფრონტიდან შინ მიმავალ რუს ჯარისკაცებს. ალექსანდრეს ბაღში მშვიდობიან მიტინგს და ასე შემდეგ.

განა შეიძლება ამ ნაციონალიზმის თვალსაზრისით იმაზე მეტი უბასუხისმგებლობა, რასაც მენშევიკები სჩადიოდნენ, როცა თავს ესხმოდნენ რუსის ჯარისკაცებს, შექმნეს შამხორში ხოცვა-ჟლეტა, ალექსანდრეს ბაღის ისტორია, 26 კომისრების გაყიდვა და სხვა ათასგვარი საძაგლობა. ასეთია მენშევიკური ავანტიურისტების „ქართული სოციალიზმი“ და სისხლიანი გოლგოთას „გმირების მოღვაწეობა ჩვენში. უალრესად კონტრ-რევოლუციონური მიზნებით ქართველი მენშევიკები და მთელი ეროვნული კონტრ-რევოლუციონური პარტიები თავს ესხმოდნენ რევოლუციონურ ჯარისკაცებს ძარცვავდნენ, ხოცავდნენ, ანაირალებდნენ მათ. ამავე დროს ისევ მათ სდებდნენ ბრალს, თითქოს რევოლუციონურად და ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცების მუქარა, კონტრრევოლუციონური მთავრობისადმი „ეს რუსული სტიქიონური ნაციონალიზმის თავდასხმა იყო ქართულ სოციალიზმზე“.

„ქართული სოციალიზმის“ ტაკი-მას ხრობა, როგორც ვიცით სამი წლის განმავლობაში გაგრძელდა და მათ უბადრუკობამ იშვიათ რეკორდს მი-აღწია.

რათ ღირს მაგალითად ნოე ჟორდანის მანიპულიაციები როცა იგი მუშებისა და გლეხების უკმაყოფილებას და ბოლშევიზმის ზრდის საშიშროების საწინააღმდეგო ტფილისში მაშინდელ საბჭოს სხდომაზე ამბობდა: „რათ უნდა გამოვიდნენ ბოლშევიკები ამიერ-კავკასიაში, როცა ჩვენში უკვე გამოცხადებულია საბჭოთა ხელისუფლება“, თითქოს, რაკი იგი მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების თავმჯდომარე ეყო, რაკი საბჭოები მენშევიკებს ეჭირათ ხელში—ეს საბჭოთა ხელისუფლებას ნიშნავდა. ეს მატყუარობისა და სეკულიაციის იშვიათი მაგალითია და წმინდა წყლის მენშევიკური მანევრი, ინტერვენტებთან, ხანებთან თანამშრომლობის დაფარვას ნოე ჟორდანი ამ საშუალებით აპირებდა.

რათ ღირს მაგალითად თუნდაც მეორე მენშევიკის სეთი დევდარიანის განცხადება, როცა ჩვენში მენშევიკური სამოთხის საკურთხებლად მეორე ინტერნაციონალის დელიგატები ჩამობრძანდნენ, „ჩვენ გვირჩევნია თანამშრომლობა იმ ბურჟუაზიასთან, რომელთანაც თანამშრომლობენ ს. ვანდერ ველდე, კ. იუსმანსი, პ. რენოიელი, მაკდონალდი, ტ. შოუ, კ. კაუტსკი. ეს გვირჩევნია იმ შეურთიყვანილ სამოქალაქო ომს,

რომელსაც აზიური სოციალიზმის მამამთავრები აწარმოებენო“.

რევოლუციონური საბჭოთა რუსეთის მაგიერ მათ იმ თავიდანვე დასავლეთ ევროპის იმპერიალისტები ირჩიეს, ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად შეეკრნენ კავშირში კონტრ-რევოლუციონურ გენერლებს, გერმანელ და ინგლისელ ოფიცრებს, ქართველ ბურჟუა კოლაკებს, ფეოდალებს, თათრის ხანებს, მერე ვის წინააღმდეგ? რევოლუციონური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ, რევოლუციონურ ჯარისკაცების წინააღმდეგ, რომელთაც არ უნდოდათ იმპერიალისტური ომის გაგრძელება. თავქარიანი იერენსკის ავანტიურისტული პოლიტიკის ბრმა იარაღად გადაქცევა.

თუ ვინ ერჩიათ ქართველ მენშევიკებს, მათ ეს იმთავითვე დამტკიცეს შამხორის ისტორიით, ალექსანდრეს ბაღში მიტინგის დახვერვით, აჯანყებული გლეხების სისხლში ჩახშობის უამრავი ფაქტებით, თუ ვინ ურჩევნოდ მათ, ვის იმყარებოდნენ ისინი, ამის შესახებ მოგვითხრობს ალ. ქუთათელის წიგნი „პირისპირ“.

რატომ ქვია ამ წიგნს „პირისპირ“? იძლევა თუ არა იგი პირისპირ დამდგარ კლასების ბრძოლებისა და შეტაკებების სინამდვილეს.

ალ. ქუთათელი უსათუოდ კლასების დაპირდაპირების ფონზე შლის თავის მხატვრობას, სადაც ერთი მხრივ ნაჩვენებია გიმნაზიელი კორნელი და მისი მსგავსი სხვა მრავალი ნაციონალისტურად განწყობილი

ახალგაზრდებისა და ომიდან დაბრუნებულ ქართველ ოფიცრების მოქმედება და საქართველოს „დამოუკიდებლობის“ დასაცავად მათი ბრძოლა. მეორე მხრივ ჯარის ნაწილებში ბოლშევიკური ელემენტების მოძრაობა, რომელთა წარმომადგენლებია ვანო მახათაძე, პეტრე ნატროშვილი და სხვა.

ერთი მხრივ მენშევიკურ - დაშნაკურ - მუსავატური კოალიცია, მეორე მხრივ რევოლუციონური ჯარისკაცების ეშალონები, ერთი მხრივ მდიდარი ოჯახის შვილი კორნელი, —მეორე მხრივ მრეცხავი მარინეს ბოლშევიკი შვილი—ასეთია კლასობრივ ძალთა განაწილება. ამ ძალებს შორის შეტაკება აუცილებელია. რომანის პირველ ნაწილშიაც ავტორი სწორედ ამ შეტაკების სამზადის გვიხატავს. რაში გამოიხატება ეს. იმაში, რომ რევოლუციონური ჯარისკაცების საფრთხის მოლოდინში ირახმება „რასიული მესოანობით“ —გაბრუნებული ნაციონალისტური ინტელიგენცია და სხვა, —„რევოლუციამ მოგვცა ის რაზედაც ჩვენ ვოცნებობდით ამ ასი წლის განმავლობაში და თუ დაუყონებლივ არ ჩამოაყალიბეთ დამოუკიდებელი სახელმწიფო ფორმა, მაშინ სამუდამოდ უნდა ავიღოთ ხელი ამ ოცნებაზე“ —ამბობს ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ესტატე მაყაშვილი.

ასე მსჯელობდნენ მაშინ მენშევიკებიც. ასე მსჯელობდნენ მეფის დროის ოფიცრებიც. „ფრონტიდან მოსულ ჯარისკაცებს ვერ გენდობით — ამბობს „პირისპირ“-ში ერთ

ერთი კაპიტანი, —ისინი ყველანი ბოლშევიკებია“. ასეთი განწყობილების შემდეგ რა გასაკვირია, რომ შამხორის ისტორია დატრიალებულიყო. შამხორის ისტორიას ალექსანდრეს ბაღის ამბავი მოყვა და ასე მენშევიკურმა მთავრობამ აშკარად დაიწყო ბრძოლა, როგორც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ისე ჩვენი ქვეყნის შიგნით რევოლუციონურად განწყობილ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.

თუ ვისგან შესდგებოდნენ მენშევიკების დამცველი შეიარაღებული ძალები, ამის შესახებ კარგათაა მოთხრობილი „პირისპირ“-ში. ესენი არიან მემამულის შვილები, ვაჭრები ძველი ოფიცრები და სხვა ათასგვარი ნაძირალები, განსაკუთრებით უნარს იჩენს ალ. ქუთათელი სამხედრო ფენების აღწერაში, მათი ფუქსავატობისა, ინტრიგების, კარიერის მიზნის აღწერაში. კარგათაა აწერილი ამ მხრივ შამხორის განიარაღების ხელმძღვანელი. „ჯავახოსანის“ უფროსის როტმისტრ აფხაზავას მოქმედება და მისი სიკვდილის ისტორია.

ეს მეტიარა და თავხედი პიროვნება, ჟორდანი-რამიშვილის უშუალო ბრძანებით, თათრის ბეგებისა და ხანების დახმარებით, ქართული კონტრრევოლუციის წერილფეხა ავანტურისტის ისეთი ტიპია, რომლის მსგავსი ხალხი უხვად წარმოშვა მენშევიკურმა რეჟიმმა. ამ მხრივ ალ. ქუთათელი უხვად იძლევა მსგავსი ტიპების გალერეას, „ფუქსავატი სამხედრო პიროვნებების“ დაწინაურების ისტორიებს და ხასიათებს.


აი გენერალი ნიჟარაძე —ძველი ფრეილინების კავალერი, ენლა პატრიოტულად მოლაყბე გენერალი, აი კაპიტანი ალექსანდრე, პოლკოვნიკი მაღალოვი, პორუჩიკი, უფროდნა, ენლა ამ ჩინიან სამხედრო პირობისა და მათ მსგავსს პერონაჟებს. ერთი ძალი იძლევა ისტატობით.

რამდენი გაიძვერული რამაა ამ ხალხში, რამდენი ზიზილ-პიპილოიანი მანქვა-გრეხა, ასეთია თუნდაც მწერლის დახასიათებით „ერთი საათის ხალიფი“ —შამხორის ავანტიურისტი აფხაზავაც. „ფრენჩე თეთრი სირმის ქამარი შემოერტყა, თავზე ცისფერი ყალმიანი თეთრი მაულის რუსული ქუდი ეხურა, დიავანალის შარვლის გვერდის ნაკერში ჩატანებული იყო თეთრივე ზოლი, ფეხზედ ეცვა ლაიკის ყელიანი ჩექმა დეზებით... ყოველივე ამას ამშვენებდა ოქრომჭედლის მიერ კოხტად ნაოსტარი კავკასიური ოქროს ხმალი“ და სხვა.

აი, როგორი ხალხის საშუალებით უსწორებდა ანგარიშს მენშევიკების მთავრობა, რევოლუციურჯარისკაცებს, მუშებს, გლეხებს. ეს ის ხალხია რომელთა შესახებ ჯარისკაცი ბურღული ამბობს —„რუს ხელმწიფის დროს ციციანოვ-ანდრონიკოვებად ასაღებდნენ თავს, რევოლუციის შემდეგ თავის გვარს კი ისევ „შვილი“ მიუმატეს, დაიკარგოს აქედან მაგათი სახელი“.... ალექსანდრეს ბაღის გმირებიც სწორედ ასეთი ხალხია. ოფიცრები და მისი მსგავსი ნაძირალები —რომელთა უკან ჟორდანი-რამიშვილები დგანან.

მწერალი კარგათ იცნობს და კარგად ხატავს ნაციონალისტურად განწყობილი ჯარისკაცების ტიპებს, კორნელის მეგობრებს, მონახისე გიმნაზიელებს და სტუდენტებს —წვრილბურჯულ ფენების პატრიოტულ ნალექს, მათ პატრიოტულ მამლაყნაობას. დამაჯერებლადაა აღწერილი რომანში ყაზარმული ცხოვრების მხარეებიც. მაგ. ზარმაცი ჯარისკაცების დილა, ცხენის მკურნალობა შარდით და სხვა.

მწერალი კარგად იცნობს ინტელიგენციას, მის ყველაზე ფუქსავატურ ფილისტერულ ნაწილს, რომელთა წარმომადგენელია ესტატე მაყაშვილი თავისი ოჯახით, ბანკეტებით და სტუმრებით. ამ მხრივ ფილისტერული ინტელიგენციის ეგზემპლიარია —პლატონ მოგველაძე. ესტატეს ოჯახი თავის ცოლბით და ქალიშვილით კი პროვინციალური არისტოკრატიზმის განსახიერებაა, მაგრამ მესხანური საზოგადოების და ამ ქაობის აღწერა რომანში ისე გაჭიანურებულია, მასში იმდენი ანექდოტური ამბებია, რომ ის ჩრდილავს რომანის სხვა აქტუალურ მხარეებს. რამდენადაც ალ. ქუთათელი მნიშ-



კავკ. ფითელდროშოვანი არმიის სასპორტო სპარტაკიადა ტვილისში
2 მაისა ლენინის სტადიონზე გაიხსნა კ. წ. არმიის სასპორტო სპარტაკიადა.
სურათზე: კავშირგაბმულობის № ასეულის მეთაური ამხ. რიბნიკოვი აბარებს
ნორმ. ლერსზე.

ფოტო ბუდუშტკის.

ელოვნად იძლევა წვრილბურჯუა-
რული ფენების წარმომადგენლების
ხასიათებას, მათ ყალბ პატრიო-
იზმს და ბაჭი-ბუჭობას, რევოლუ-
ციის მიერ ჯარისკაცების დიფერენ-
ციაციის აშკარა ტენდენციებს, იმ-
უნათ სუსტად ასახავს ბოლშევი-
ურად განწყობილ ჯარისკაცების
იპებს. საერთოდ რომანში ძალზე
კრთალათაა ბოლშევიკური სახეები,
ბოლშევიკური პარტიის როლი. არა
ამაჯერებელია ამ შემთხვევაში მა-
თაძის აგიტაცია წითელი ჯარის
ქსახებ და სხვა.

ბოლშევიკურად განწყობილი ჯა-
რისკაცები უფრო ინტელიგენტებს
კანან, ვიდრე მშრომელი ხალხის
ქედა ფენების ცოცხალ წარმომად-
გენლებს, ამიტომ მათი დიპლომატი-
ა რეპლიკები ინტელიგენტურია ეს
ომანის ნაკლოვანებაა. ნაკლო-
ვნებაა ისიც, რომ რომანში ერ-
ა მხრივ ისტორიული პიროვნებებია
ამოყვანილი მეორე მხრივ მოქმე-
დებენ გამოგონილი პერსონაჟები.

რომანში ორი მაგისტრალური ხა-
ა. ერთი მხრივ იმის ჩვენება თუ
ს ემყარებოდნენ მენშევიკები და რა
დიფერენციაციას ქონდა ადგილი მა-
ნდელი ჯარის ნაწილებში, მაგრამ
საც ავტორი მხოლოდ ნაციონალის-
ურად განწყობილ ხალხს ხატავს,
მთავრესად კი მოხალისეობის ტენ-
დენციას. მწერლის ყურადღება უმ-
ავრესად ნაციონალისტურად გან-
კობილ ახალგაზრდობაზე და ოფი-
რებზეა გადატანილი. ამიტომ რო-
ნის მთავარი ობიექტი გიმნაზიე-
ებია.

გიმნაზიელია რომანის მთავარი
ორი კორნელიც, რომელიც ნაწარ-
ბში—ორგანიულად ვერაა შესუ-
ი. ამიტომ იგი ზერელე ტიპია.

განსაკუთრებით ძალზე ცნებს
ომანს კორნელის სიყვარულის ის-
ორია. ეს მომენტი მთელი დამოუ-
იდებელი ხაზია ამ ნაწარმოებში
სამწუხაროდ უმცირესი წინააღ-
მეობის ხაზით განვითარებული,
აც უსათუოდ ამცირებს რომანის
ერთო ხასიათს. მართალია, ავტო-
რის მიზანია აჩვენოს მაშინდელი პა-
რიოტული ინტელიგენციის სულის
კეთება, მაგრამ ამ მოვლენის ჩვენე-
ის დროს მწერალს ბევრი სხვა საინ-
ერესო და საჭირო მომენტები უს-
ლტება ხელიდან. სრულიად ზედმე-
ია ამ მხრივ კორნელის მეგობრე-
ის ყორღანოვის ქუჩაზე მოლაზღან-
არე გიმნაზიელების ყოფა-ცხოვრე-
ის ამბები. ამის მაგიერ უფრო უკე-
ესი იქნებოდა ყაზარმაში თავმოყ-
ილ ჯარისკაცების მეტი დამაჯერე-
ლობით ჩვენება. მუშათა კლასის
კმაყოფილების მიზეზების გამოძებ-
ა, ფრონტიდან დაბრუნებული ჯა-



ლენინის სახელობის სტადიონზე.

სურათზე: ფიზკულტურის ტენნიკუმის ინსტრუქტორი ამბ. კილაძე ვარჯიშობს
150 სნტ. სიმაღლის ზტომაში. ფოტო — სტალიაროვის.

რისკაცების რევოლუციური როლი
სოფლად, ინტერვენციის ეპიზოდები
და სხვა.

ვინ არის კორნელი. როგორც ტი-
პი. აშკარაა იგი წვრილბურჯუაზიუ-
ლი ინტელიგენციის წარმომადგენე-
ლია, პოლიტიკურად ბეცი გიმნაზიე-
ლი, რევოლუციის პერიოდში კლას-
სობრივ გამოჩვევის გზაზე, პატრი-
ოტულად განწყობილი, უფრო მე-
ტად თავისი სიყვარულით გამოლენ-
ჩებული, ვიდრე ისტორიული ამბე-
ბით გატაცებული. ავტორს უთუოდ
კორნელისა და მისი მსგავსი გიმნა-
ზიელებისა და პატრიოტულად ახალ
გაზრდობის სახით მენშევიკების
დროის ახალგაზრდა კაცის ჩვენება
სურდა.

კორნელი არა აქტიურად მოქმე-
დი ფიგურაა, ამიტომაც მაჩანჩლა
ტიპია, რევოლუციის დიად ამბებში
შემთხვევით გაჩხირებული. უკონცეპ-
ციო ადამიანი, რომლისაგანაც შესა-
ძლებელია რევოლუციის აშკარა მო-
წინააღმდეგე გამოვიდეს, მაგრამ შე-
საძლებელია მასში გარდატეხა მოხ-
დეს, ყოველ შემთხვევაში ეს ჯერჯე-
რობით არ სჩანს მის მოქმედებიდან.

მას ჯერ კიდევ არ დაუწყია ნაშ-
დელი პოლიტიკური ცხოვრება, სა-
კუთარი გზით სიარული, ის ჯერ კი-
დევ გიმნაზიელია, „ქალვით ნაზი და
ლამაზი ყმაწვილი“. მიუხედავად
იმისა, რომ ის ეზიარა კლასობრივი
ბრძოლების დიდ ამბებს, მიუხედა-
ვად იმისა, რომ მისთვის, როგორც
ავტორი ამბობს „ძველი დრო უდა-
რდელი ცხოვრება და ყმაწვილკაცო-
ბა გათავდა. მოვიდა წლები საცეს

ქარიშხლიანი ბრძოლით, ჭიდილით
და ხანძარით“.

ალ. ქუთათელი უნარიანათ ხატავს
ფუქსავატ ინტელიგენტების ხასია-
თებს. ამ მხრივ რომანში კარგი ად-
გილებაა, მაგრამ ბიკრია მასში არა
მოტივირებული და ბეტაფორული
ადგილებიც.

საერთოდ ქუთათელის ეს ნაწარ-
მოები ჩვენი ახლო წარსულის მე-
ტად საინტერესო პერიოდს ეხება,
ბევრი საინტერესო მოვლენებია გა-
მოტანილი და გაცხოველებული, მა-
გრამ წიგნის მეორე ნაწილისათვის
წინ კიდევ მეტად საინტერესო მასა-
ლებია გამოსაყენებელი. რომანში
მხოლოდ 17 და 18 წლების ამბებია
საქართველოში გერმანული ოკუპა-
ციის შემოჭრის პერიოდამდე, მაგრამ
ამაზე არა ნაკლებ საინტერესო მასა-
ლაა ინგლისის ოკუპაცია, მათი თავ-
ხედობათა ისტორია, მენშევიკების
ლაქიობისა და გამყიდვილობის ეპო-
პეია. მენშევიკური სოციალიზმის
„სამოთხეში“ მეორე ინტერნაციონა-
ლის მოგზაურობა, სომეხ-ქართველ-
თა ომი, მენშევიკური გვარდიის
თარეში და აოვირახსნილობა, აშკა-
რა და სისხლიანი ბრძოლა რევო-
ლუციური მუშებისა და გლეხების
წინააღმდეგ.

ეს მასალა სამოქალაქო ომის დი-
დი ეპოპეიის მასალაა. და ალ. ქუთა-
თელმა უნდა შესძლოს მისი მეტი
იდენტობით და მხატვრული შესაძ-
ლებლობით მოცემა. ასეთ ვალდ-
ებულებას აყენებს მის წინაშე ეს პირ-
ველი წიგნი.

19 აპრილს ტფილისში გარდაიცვალა დამსახურებული პროფესორი **მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი**.

მოსე ჯანაშვილი დაიბადა 1855 წ. 19 მარტს სოფ. კაშიში (საინგილო), ღარიბი გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მან ადგილობრივ სკოლაში მიიღო.

1868 წელს მომავალი მეცნიერი ზაქათაღის სამაზრო სასწავლებელში გახაგრძობს სწავლას, რომელსაც წარმატებით ამთავრებს, შემდეგ ნათესავების დახმარებით ტფილისის სასულიერო სემინარიაში შედის. აქ წარმატებით მეცადინეობს მოსე, მაგრამ „ამ დროს (1874 წ.) — წერს ის თავის ხელნაწერ წიგნში, რომელსაც „ჩემი ცხოვრება“ ეწოდება, — ტფილისს ჩამოვიდა **ევნატე იოსელიანი** და ჩამოიტანა სკივრებით აკრძალული ლიტერატურა, რომლის გაცნობამ შეგვბოროტა სემინარიელები, განსაკუთრებით გვიზიდავდა **ჩერნიშევსკის „Что делать“**, ბაკუნინი და სხვა. მისი საგრძნობი ნაწილი გაუფხვენეთ კახის მასწავლებელს **ივანე როსტომაშვილს**. მთავრობამ „სუბიტი“ ოგრძნო, რაშიც იყო საქმე, ეზნარმმაც პასუხი მოგვთხოვა მე, **დ. ჯანაშვილს და ი. როსტომაშვილს**, რომელიც „კარეტი“ ტფილისის ციხეში ჩამოიყვანეს. ბოლოს სემინარიიდან გამოვედი „ოთხიტი“ ყოფაქცევაში (1874—1875 წ.).

სემინარიიდან გამოსვლის შემდეგ, მოსე ქუთაისში, ივანე პეტრიაშვილის პანსიონის გამგედ მუშაობდა, შემდეგ სამი წლის განმავლობაში იქვე — ქუთაისის პროგიმნაზიაში მასწავლებლობდა. ქუთაისიდან მოკლე დროის შემდეგ, სადაც ის მეცნიერული მუშაობის პარალელურად თითქმის ბოლომდე შერჩა პედაგოგიურ ასპარეზს.

1898 წლიდან **მ. ჯანაშვილი** მუშაობას იწყებს სიონთან დასახლებულ ბაქრაძის მიერ დაარსებულ სიძველეთ-საცავ მუზეუმში, რომელიც შეიქმნა თვით მოსეს დაუღალავი მუშაობით საქ. სახ. მუზეუმში დაცულ ხელნაწერების უმდიდრეს კოლექციად გადაიქცა. 1904 წ. ეს მუზეუმი იქნა წერა-კითხვის საზოგადოებას მდივნად.

სამწერლო-სამეცნიერო ასპარეზზე განსვენებული 1877 წელს გააუვიდა. „ჩემი მწერლობის დასაწყისი, — წერს იგი, — დაკავშირებულია ტფილისში ჩამოსვლასთან და „დროების“ რედაქტორის სერგეი მესხის და მისი მეუღლის ეკატერინე მელიქიშვილის სახელთან. დიმიტრი ჯა-

ყვანა „დროების“ რედაქციაში. პირველი ღამეები ტფილისში ჩამოსვლამა გაატარე **ს. მესხის** ძვირფას ოჯახში. „დროება“ მაშინ იყო **ერნაშვილმა** გზიდანვე პირდაპირ მიმითად ერთი გავრცელებული გაზეთი. იქ მუშაობდნენ: **აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი იოსელიანი, დ. ჯანაშვილი, პეტრე უმიკაშვილი და სხვანი**. „დროებას“ გარდა დრო და დრო გამოდიოდა „სასოფლო გაზეთიც“. ამ ხალხში აღზრდილს მეც გამეკათა ცხოვრება მწერლობის მტკიცე ხაზი. პირველ ჩემი ბეჭდვითი ნაწარმოები იყო: „**ინგილოთა ცხოვრების ზოგი ვითარება**“. დაიბეჭდა „სასოფლო გაზეთში“ (1877 წ. № 16).

აქედან იწყება დამს. პროფესორის **მოსე ჯანაშვილის** ხანგრძლივი და მეტად ნაყოფიერი სამწერლო-სამეცნიერო მუშაობა. ის წერდა: მეურნეობის, საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის ისტორიის, ენათმეცნიერების, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ნუმისმატიკის, გეო-

გრაფიის და სხვ. შესახებ. განსაკუთრებით განსვენებული ცნობილი როგორც სიძველეების აღმოწერი, მომკვლევ, კომენტატორი, გამომცემი და ძველი ქართული საისტორიო — სალიტერატურო ძეგლ მთარგმნელი, რომელთა შორის მრავალი მის მიერ არის აღმოჩენილი მას დარჩა ათას შვიდასამდე დაბეჭდილი და ხელნაწერი (გამოუქვეყნებელი) ცალკე შრომები (წერილები და გამოარკვევები).

მოსე ჯანაშვილი მაშინ მოღვაწეობდა სამეცნიერო ფრონტზე, რადესაც სამეცნიერო დაწესებულები სრულიად არ არსებობდა საქართველოში და ქართული მეცნიერო-დაცინვის საგნად იყო ქცეული. ამიერი მდგომარეობის განსვენებულ უდიდესი დამსახურება ჩვენი მეცნიერების წინაშე და ალბად ამით აიხსნება მისი მეცნიერული შრომის მრავალფეროვანი თემატიკა.

პროფ. მოსე ჯანაშვილის ეს დიდი მეცნიერული დამსახურება შეფერად დააფასა საბჭოთა ხელისუფლებამ. 1930 წლის მაისს მას დი-



დამსახურებული პროფესორი **მოსე ჯანაშვილი**

წიმიტ გადაუხადეს მეცნიერული მოღვაწეობის 50 წლის თავი. ამ იუბილესთან დაკავშირებით ეწოდა მას დამსახურებული პროფესორის და შრომის გმირის სახელწოდება.

დამსახურებული პროფესორის, მრავალ სამეცნიერო საზოგადოების წევრის და შრომის გმირის მოსე ჯანაშვილის მეცნიერული შრომები, მეტად მდიდარ მემკვიდრებას წარმოადგენს საბჭოთა მეცნიერებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ამ შრომებში მრავალი უკვე მოძველებულია და რაც მთავარია — მეთოდოლოგია გაუმართლებელი. მოსე ჯანაშვილის მეცნიერულ შრომებიდან ჩვენი ეპოქის მეცნიერებს შეუძლია გამოიყენოს მრავალი ფაქტური მასალა და აიღოს მსგავსი, თუ როგორ უნდა ბრძოლა და მეცნიერებისათვის თავდადება.

პროფ. მ. ჯანაშვილის წემთი დასაფლავებული იქნა 22 აპრილს მთაწმინდის პანთეონში, მისი თანამედროვე და თანამებრძოლი, დამსახურებული მეცნიერის პროფესორ ალექსანდრე ცაგარელის გვერდით.




პროფესორი
მოსე ჯანაშვილი

ტრამვაის ფართე ლინდაგის დაგება.

ოქრომჭედლების ქუჩაზე დაიწყო ტრამვაის ხაზის ფართე ლინდაგად გადაკეთება. სურათზე: ფართე ლინდაგის გზის გაზომვა შაბლონით.

ფოტო ბუდუშტსკის.



აზიზ-კავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადის მონაწილეები ასრულებენ ცეკვას ქუჩაში გამართულ ესტრადაზე.

**პროფესორ პეტრე მელიძე
ზვილს ქაზლის გახსნა**


11 მაისს, დღის 3 საათზე საქ. საზ. უნივერსიტეტის ეზოში მოხდა სახელმწიფო მეცნიერის, ქიმიკოსის, საკავშირო სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, დამახორბელ პროფესორისა და საქ. უნივერსიტეტის პირველი რექტორის — პ. გ. მელიძის ქაზლის გახსნა.

ზეიმი გახსნა საქ. ცაკის თავმჯდომარე მ. ფ. მახარაძემ, რომელმაც აღნიშნა პ. გ. მელიძის ქაზლის მრავალმხრივი და უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობა, შემდეგ სიტყვები თქვეს პროფესორმა ციციშვილმა და პროფ. შ. ნუცუბიძემ.

ქაზის გახსნაზე დაესწრო საკავშირო სამეცნიერო აკადემიის ქიმიკოსთა ბრიგადა აკადემიკოს კურნაკოვის მონაწილეობით, აგრეთვე აკადემიკოსი პისარევესკი, პროფ. როზენბერგი, საზ. უნივერსიტეტის რექტორი ლ. აღნიშვილი, საქ. მეცნ. აკად. ა. კ. ავალიას წარმომადგენელი ამბ. ს. ფორუხოვი, პროფ. შ. ნუცუბიძე, პროფ. ციციშვილი, ქაზლის ავტორი იაკობ ნიკოლაძე და სხვ.

უნივერსიტეტის კვლემის დარბაზში ჩატარდა საზეიმო სხდომა ამბ. უნიტის რექტორისა და აღნიშვილის თავმჯდომარეობით.

სურათზე: მიტინგის პრეზიდენტი: ამბ. ფ. მახარაძე, ამბ. ლ. აღნიშვილი, პროფ. ციციშვილი, და პროფ. კურნაკოვი.



**საქართველოს საუკეთესო
ატლამბის შეჯიბრება**


აპრილში საქ. პროფკავშირთა საბჭოს ფიზკულტ. კ. ბიურომ ტფილისში მოაწყო საქართველოს საუკეთესო მძიმე ატლამბის შეჯიბრი. მონაწილეობა მიიღო ბათუმის სობუშმა, ქუთაისმა და ტფილისმა.

შეჯიბრზე კონკურსის გარეშე მოაწყო ულნი იქნენ „დინამოს“ მძიმე ატლამბის შეჯიბრის მიზანს შეადგენდა მძიმე ატლამბის ზამთრის სეზონის შედეგების შეჯამება და საუკეთესო ატლამბის გამოკვლევის გადაცემა დაწყება.

სურათზე: საქართველოს ერთი უძლიარეს ბოქსერთაგანი, ამბ. დუდუშაური, ფოტო ბუდეშტსკის.

სურათზე: საფიზკულტურო წარს წევრთა საკუთარი ჭიდაობა პროფესორის სამსპორტო დარბაზში.

ფოტო — დროტკევიჩის.



შეცდომის გასწორება

წინა ნომერში (9—10) ამბ. გ. ლუარსა



აშიურ-კავკასიის ხელოვნების მუზეუმი.

1—4 ივნის ტფილისში ჩატარდა აშიურ-კავკასიის მუზეუმის მონაწილეობაში 2500 კაცამდე აკადემიის კვლევა რესპუბლიკებიდან.
სურათზე: სახელგანთქმული აჭარელი დიპლომატი სურმანიძე ხელოდან, — ცნობა
დაკონა-ხელის სახელით.